

თამაზ გოგოლაძე

თორის ხეობის ეპიგრაფიკული
ქორპუსი,
როგორც საისტორიო წყარო

**Korneli Kekelidze Georgian
National
Center of Manuscripts**

Tamaz Gogoladze

**The Epigraphic Corpus
of the Tori Gorge
as a Historical Source**

**Tbilisi
2019**

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი

თამაზ გოგოლაძე

თორის ხეობის ეპიგრაფიკული
კორპუსი,
როგორც საისტორიო წყარო

თბილისი
2019

წინამდებარე კორპუსში წარმოდგენილია თორის ხეობის 50-მდე ლაპიდარული, ნაკანტი თუ ფრესკული წარწერის (IX-XIX სს.) პუბლიკაცია, რომელთა ნაწილი პირველად ქვეყნდება. წარწერები ქვეყნდება პალეოგრაფიული პირებითა და ფოტოებით, რაც კორპუსს პალეოგრაფიულ მნიშვნელობას ანიჭებს. წარწერების ნაწილი შესწავლილია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით.

ტექსტის ინგლისური თარგმანი:

ლადო მირიანაშვილი

პალეოგრაფიული ასლებისა და გრაფიკული მონახაზების კომპიუტერული უზრუნველყოფა:
დიმიტრი გურგენიძე და მანუჩარ გუნცაძე

გარეკანის დიზაინი:

მანუჩარ გუნცაძე, ირმა ჯიშკარიანი

გარეკანზე დატანილია:

აკად. სიმონ ჯანაშიას თბილისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ახალდაბის ეკლესიის მოდელი (XII-XIII სს.)

უკანა ყდაზე:

გამოსახულია დაბის ღმრთისმშობლის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა (1333 წ.)

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყაროს“ (YS-2016-11) ფარგლებში

© თამაზ გოგოლაძე

ISBN 978-9941-8-1054-1

წიგნი ეძღვნება დევი ბერძენიშვილის ხსოვნას
(1934-2008)

ნინასიტყვაობა

„თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტო-რიო წყარო“ ბორჯომის ხეობის 50-მდე ლაპიდარულ, ნაკანი თუ ფრესკულ წარწერას მოიცავს, რომელთა ნაწილი პირველად წინამ-დებარე კორპუსში ქვეყნდება. წარწერათა ქრონოლოგია IX-XIX საუკუნეებით განისაზღვრება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად გამოიცემა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) კორპუსი თორის ხეობის ეპ-იგრაფიკული ძეგლების შესახებ, რაც დიდ დახმარებას გაუწევს შესაბამისი დარგის როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სპეციალ-ისტებს. წინამდებარე კორპუსის ელექტრონული ვერსია განთავს-დება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე, რაც გაზრდის თანამშრომლობის შესა-ძლებლობას შესაბამისი დარგის უცხოელ სპეციალისტებთან.

კორპუსი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სპეციალისტებს – ეპიგრაფიკოსებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ხელოვნებათ-მცოდნებს და სხვ., ასევე ბორჯომის ხეობის წარსულით დაინტ-ერესებულ ფართო საზოგადოებას.

ბორჯომის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსის შექმნის წარმა-ტებით განხორციელების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, პირველ რიგში, დიდ მადლობას მოვახსენებთ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისათვის, ასევე დიდ მადლობას ვუხდით წინამდებარე პროექტის მენტორსა და ჩვენს უფ-როს კოლეგას – ისტორიის დოქტორს, თემო ჯოჯუას, რომელმაც თავისი კონსულტაციებითა და რჩევებით დიდი დახმარება გაგვინია კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების ეფექტურად გად-აჭრის საქმეში; წიგნის სტრუქტურის გამართვაში გაწეული დახმარე-ბისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ისტორიის დოქტორს, მამუკა წურწუმიას; ასევე დიდ მადლიერებას გამოვხატავთ ჩემი მეგობრების (ირაკლი გელაშვილის, ილია გოგოლაძის, იმედა ნამორაძის, ირაკლი აბულაძის, ალექო თაბუკაშვილის) მიმართ მივლინებებისა და ექს-პედიტორების დროს გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

წინამდებარე კორპუსი მომზადდა 2016-2018 წლებში კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენ-ტრში.

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	7
თორის ხეობის წარწერების შესწავლის ისტორია	13
ტექსტები	23
ბორჯომის ხეობა. ჩითახევის („მწვანე მონასტრის“)	
წმიდა გიორგის ეკლესია	25
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.....	27
გუჯარეთის ხეობა. თოთხამის ციხის ეკლესია	31
გუჯარეთის ხეობა. „წითელი ეკლესია“	32
გუჯარეთის ხეობა. მაჭარწყლის ეკლესია	36
გუჯარეთის ხეობა. ტყემლოვანის ეკლესია	39
ბორჯომის ხეობა. საკირე. „საყდრივაკის“ ეკლესია.....	42
ბორჯომის ხეობა. ფოთოლეთის	
წმიდა გიორგის ეკლესია	45
ფოთოლეთის ეკლესიის კანკელი (X ს.)	62
გუჯარეთის ხეობა. ვარდევანის ეკლესია	75
გუჯარეთის ხეობა. თელოვანის	
წმიდა ელიას ეკლესია	77
ბორჯომის ხეობა. ქვაბისხევის	
ღმრთისმშობლის ეკლესია	82
ბორჯომის ხეობა. ახალდაბის	
წმიდა გიორგის ეკლესია	85
გუჯარეთის ხეობა. ტიმოთესუბნის	
(კიმოთისმანის) წმიდა ბარბარეს ეკლესია.....	88
გუჯარეთის ხეობა. დაბის ღმრთისმშობლის ეკლესია.....	93

გუჯარეთის ხეობა.	
თონეთის წმიდა გიორგის ეკლესია	99
ბორჯომის ხეობა.	
ლიკანის ღმრთისმშობლის ეკლესია	102
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.....	109
ბორჯომის ხეობა.	
ყვიბისის წმიდა გიორგის ეკლესია.....	111
გუჯარეთის ხეობა.	
ტიმოთესუბნის (კიმოთისმანის) ეკლესია	114
ბორჯომის ხეობის წარწერათა	
ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი	115
ანტეფიქსის წარწერა	115
სავედრებელი წარწერები.....	116
ქართული ანბანი.....	126
სააღმშენებლო წარწერები.....	129
საფლავის ქვის ეპიტაფიები.....	140
ქვაბისხევის მონასტრის ფრესკული	
წარწერების შესწავლის ისტორია	149
პირობითი ნიშნები.....	159
ბიბლიოგრაფია	273
ფოტოები	283
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	329

Contens

Foreword	165
Preface.....	166
A History of the Study of Inscriptions from the Tori Gorge	167
Transcription Notation	174
Texts	175
Borjomi Gorge. The Church of St.	
George of Chitakhevi (Mtsvane Monasteri)	176
The Regional Museum of Borjomi	177
Gujareti Gorge. Church of the Totkhami Fortress	180
Gujareti Gorge. “Red Church”.....	181
Gujareti Gorge. Church of Matchartskali	184
Gujareti Gorge. The Church of Tqemlovani	186
Borjomi Gorge. Sakire. The Church of “Saqdrivake”	188
Borjomi Gorge. St. George Church of Potoleti.....	190
A Chancel Screen of the Potoleti Church (10th c.).....	203
Gujareti Gorge. The Church of Vardevani	213
Gujareti Gorge. Church of St. Elijah of Telovani	214
Borjomi Gorge. The Church of the Theotokos of Kvabiskhevi.....	218
Borjomi Gorge. The Church of St. George of Akhaldaba.....	220
Gujareti Gorge. St. Barbara Church of Timotesubani (Kimotismani) .	222
Gujareti Gorge. Church of the Mother of God of Daba.....	225
Gujareti Gorge. Church of St. George of Toneti	228
Borjomi Gorge. The Church of the Mother of God of Likani	230
The Regional Museum of Borjomi	234

Borjomi Gorge. The Church of St. George of Qvibisi.....	235
Gujareti Gorge. Church of the Mother of God of Timotesubani (Kimotismani).....	237
Historical and Source Study Analysis of the Inscriptions from the Borjomi Gorg.....	238
An Inscription on an Antefix.....	238
Supplication Inscriptions	239
Georgian Alphabet	247
The Construction Inscriptions.....	249
Tombstone Epitaphs	258
History of the Study of Kvabiskhevi Mural Inscriptions.....	264
Bibliography	273
Photos.....	283
Indices of personal and place names.....	342

თორის ხეობის წარწერების შესწავლის ისტორია

ქართული წარწერები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს და უტყუარ წერილობით წყაროს როგორც საქართველოს, ასევე ბიზანტიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, სპარსეთის (დღევანდელი ირანის ისლამური რესპუბლიკა), ოსმალეთის (დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკა), ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა ქვეყნების ისტორიისათვის, რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. ისინი შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ქართველი ხალხის პოლიტიკური ისტორიის, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლის ისტორიის, კულტურული ყოფისა და სულიერი ცხოვრების შესახებ.

ქართული წარწერების მონაცემებს ჯერ კიდევ იყენებდნენ ქართველი მემატიანეები თავიანთ თხზულებებში სხვადასხვა ისტორიული ცნობის თარიღის დასაზუსტებლად, მათ მიერ მოყვანილი ცნობების შესაჯერებლად, ისტორიული მოვლენების დასადგენად და სხვ.

ქართულ წერილობით წყაროებში ქართული წარწერა პირველად X საუკუნის ბასილი ზარზმელის მიერ შედგენილ პაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ გვხვდება. თხზულებაში მოთხრობილია ეპიზოდი ძარღუელი კაცისაგან შენირული მსხვერპლით ზარზმის ერთ-ერთი ტაძრის აშენების შესახებ, სადაც ნათქვამია: „და ვითარცა აღეშენა [ეკლესია] შტომთურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაიღლა ოქრო იგი კაცისა მის, სადა-იგი, გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტკრთავს ჯუარი ქრისტესი.“

XI საუკუნის ისტორიკოს სუმბატ დავითის ძეს ბაგრატიონთა საგვარეულონ ქრონიკის შედგენისას წინამდებარე წარჩინებული ოჯახის ამა თუ იმ პირის მოღვაწეობის, გარდაცვალებისა და კულტურული საქმიანობის დასადასტურებლად მოჰყავს ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების ეპიგრაფიკული ძეგლები. მათი ავთენტურობა და უტყუარი არსებობა დღესაც დასტურდება აღნიშნული მხარის ეკლესია-მონასტრების კედლებზე შემონახული ისტორიული შინაარსის წარწერებით.

გვიან შუა საუკუნეების ისტორიკოსს – ვახუშტი ბატონიშ-

ვილს (1696-1757) თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ხშირად მოჰყავს ქართული წარწერები ამა თუ იმ მოვლენის დასადასტურებლად. სწავლული ბატონიშვილი მკაფიოდ გამოჰყოფს ქვაზე, ჯვარზე, ხატზე შესრულებულ წარწერებს და ასევე ფრესკულ წარწერებსაც.

თორის ხეობის ეპიგრაფიკულ კორპუსში თავმოყრილია ბორჯომის, გუჯარეთისა და სადგერის ანუ შავწყალას ხეობების ქართული ლაპიდარული, ნაკანრი და ფრესკული წარწერები, რომელთა ქრონოლოგია IX-XIX საუკუნეებით განისაზღვრება.

კორპუსში შევერიბეთ თორის ხეობის ყველა ლაპიდარული, ნაკანრი და ფრესკული წარწერა, მათი ნაწილი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი იყო. ამავდროულად, ის წარწერებიც, რომლებიც ჩვენამდეც გამოქვეყნებულია და დაზუსტებულია მათი ტექსტები. ასევე კორპუსში წარმოდგენილია წარწერათა ტექსტები, რომლებიც ჩვენ მიერ ახლებურად არის წაკითხული; ამჟამად არარსებულ წარწერათა ტექსტები, რომლებმაც ჩვენამდე პუბლიკაციებისა თუ სხვა სამეცნიერო ნაშრომების სახით მოაღწია.

თორის ხეობის წარწერები განთავსებულია ქართულ საერო და საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლების კედლებზე, საფლავის ქვებზე და სხვ. თორის ხეობის წარწერების უმრავლესობა ეკლესია-მონასტრების კედლებზეა შემონახული, ხოლო ერთი ნაწილი გადატანილია ადგილობრივ (აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი) თუ რაიონულ (ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი) მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში.

თორის ხეობის წარწერებს თავისი განსაკუთრებულობითა და მნიშვნელობით ქართულ ეპიგრაფიკაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. სწორედ აღნიშნულ მხარეში მოიპოვება ისეთი მნიშვნელოვანი წარწერები, როგორებიცაა: XII-XIII საუკუნეების ახალდაბის წმიდა გიორგის ეკლესიის მოდელი ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის მეუღლის – დიოფალ დიოფალ ვანენისა და მისი ვაჟის მოხსენიებით; XIII ს.-1226 წლების ერთიანი საქართველოს მეფის, თამარის (1184-1210) ერთგული ფეოდალის – შალვა ერისთავთ-ერისთავის (ცნობილი ისტორიული პირის – შალვა ახალციხელის) წარწერა ტიმოთესუბნის წმიდა ბარბარეს

ეკლესიიდან; ზოგიერთი მკვლევრის მიერ შოთა რუსთაველთან გაიგივებული ფეოდალის ფრესკული წარწერა ქვაბისხევის ომრთისმშობლის მონასტრიდან; 1333 წლის გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) მოლარეთუხუცესის სააღმშენებლო წარწერა დაბის ეკლესიიდან და სხვ.

თორის ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლები შინაარსობრივი თვალსაზრისით შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: ა) სააღმშენებლო წარწერები; ბ) იურიდიული საბუთები; გ) ეპიტაფიები ანუ საფლავის ქვების წარწერები; დ) სავედრებელი წარწერები.

ამ მხარის წარწერათა უმრავლესობა უთარილოა. ისინი დათარიღებულია მათი პალეოგრაფიული მონაცემებისა და მასში მოხსენიებული პირების საფუძველზე. თარიღიანი წარწერების შემთხვევაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთ წარწერაში (დაბის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა) თარიღი მოცემულია როგორც ქრონიკონის, ასევე ინდიქტიონის მეშვეობით, ასევე არაბული ციფრების (ყვიბისის წმიდა გიორგის ეკლესიის 1851 წლის 1 მაისის საფლავის ქვის წარწერა) საშუალებით.

თორის ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიების, შეკრებისა და შესწავლის ისტორია სათავეს იღებს XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან და დაკავშირებულია ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის – მარი ბროსეს (1802-1880) სახელთან, რომელსაც ქართველი (თეიმურაზ ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი) თუ უცხოელი (ივანე ბართოლომეი, ვასილ პერევალენკო და სხვ.) კორესპონდენტები სისტემაზურად აწვდიდნენ ქართული წარწერების მონახაზებს, გადმონაწერებსა და ზოგ შემთხვევაში მათ წაკითხვებს.

1851 წელს მარი ბროსემ დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის გადმონაწერის საფუძველზე დაბის ომრთისმშობლის ეკლესიის 1333 წლის მოლარეთუხუცესის სააღმშენებლო წარწერა გამოაქვეყნა. 1854 წელს ისტორიკოსმა ეს წარწერა მეორედ ივანე ბართოლომეის მიერ შესრულებულ გრაფიკულ მონახაზზე დაყრდნობით გამოსცა.

1851 წელს მარი ბროსემ პირველმა გამოსცა ტიმოთესუბნის ეკლესიის შალვა ერისთავთ-ერისთავის (იგივე შალვა ახალციხელის) სავედრებელი წარწერა. მეცნიერს მოყვანილი აქვს წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით და მისეული წაკითხვა ფრანგულ ენაზე. თუმცა ისტორიკოსმა წარწერა არას-

წორად წაიკითხა. მისი წაკითხვით, წინამდებარე წარწერა ვინმე შალვას, ესტატესა და სულას სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს. მარი ბროსეს ტიმოთესუბნის ტაძრიდან ზაზა ავალიშვილის საფლავის ქვის წარწერის ფრაგმენტი მოჰყავს, რომელიც დღეისათვის უკვე დაკარგულად არის მიჩნეული.

1854 წელს მეცნიერმა ვასილ პერევალენკოს მიერ შესრულებული გადმონაწერის საფუძველზე ლიკანის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოს სააღმშენებლო წარწერა გამოაქვეყნა ადგილობრივი ფეონდალის – ქიშვად ავალისშვილისა და მისი თანამეცხედრის, მეფეთმეფის ასულ თამარის მოხსენიებით. მას მოყვანილი აქვს წარწერის ადგილმდებარეობა, წარწერის დაცულობის ხარისხი, წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით და მისეული წაკითხვა ფრანგულ ენაზე. გარდა ამისა, მან წარწერაში მოხსენიებული მეფეთმეფის ასული თამარი – იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-1565) ასულ თამართან გააიგივა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში პლატონ იოსელიანს (1809-1875) ლიკანის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე უნახავს ძველი ქართული დამწერლობით შესრულებული წარწერა გივი ავალიშვილისა და მეფის ასულ სოფიოს მოხსენიებით. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვანის, დიმიტრი ყიფიანის (1811-1887) ვაჟის – კოტე ყიფიანის 1901 წლის ხელნაწერის სახით მოღწეულ ნაშრომში „Кое-что из истории Боржома“.¹ დღეისათვის ლიკანის ეკლესიის სამხრეთი ფასადი ჩამოშლილია და, შესაბამისად, წარწერაც დაკარგულია. იქიდან გამომდინარე, რომ ისტორიკოსს მოჰყავს მხოლოდ წარწერის შინაარსი და წარწერის მისეული დათარიღება (XVII საუკუნის I ნახევარი), ფასდაუდებელია პლატონ იოსელიანის ცნობა აღნიშნული სააღმშენებლო წარწერის შესახებ. სწორედ მისი ცნობა გახლავთ ერთადერთი დადასტურება ამ წარწერის არსებობისა ლიკანის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე.

მარი ბროსეს შემდეგ დაბის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერას ქართველი ისტორიკოსი, დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890)

¹ Константине Кипиани, Кое-что из истории Боржома, 1901 г, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, საქმე №8, ფურცელი 1.

შეეხო. მან, მარი ბროსესაგან განსხვავებით, წინამდებარე წარწერა მისი პალეოგრაფიული მახასიათებლების საფუძველზე XII საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლად მიიჩნია და წარწერაში მოხსენიებული დიმიტრის ძე, მეფეთმეფე გიორგი ერთიან საქართველოს მეფე გიორგი III-თან (1157-1184) გააიგივა. უფრო მეტიც, წარწერის დასაწყისში დასმული მეცხრამეტე ინდიქტიონი მიუმატა მეფე გიორგი III-ის ტახტზე აღსაყდრების თარიღს 1156 წელს² და წარწერის ქრონოლოგია 1175 წლით განსაზღვრა.

1895 წელს გამოიცა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორია, რომლის სქელობიში დიმიტრი ბაქრაძემ ხელმეორედ გამოსცა დაბის ეკლესის სააღმშენებლო წარწერა. ამჯერად, ისტორიკოსი იზიარებს წარწერის მარი ბროსესეულ წაკითხვასა და დათარიღებას. აქედან გამომდინარე, დაბის წარწერას 1333 წლით ათარიღებს.

1897 წელს დაბის ეკლესის სააღმშენებლო წარწერა თედო უორდანიამ (1854-1916) თავისი ქრონიკების II ტომში გამოაქვეყნა. იგი იზიარებს წარწერის მარი ბროსესეულ წაკითხვასა და დათარიღებას. ისტორიკოსი, მარი ბროსეს მსგავსად, წარწერის ქრონოლოგიას 1333 წლით განსაზღვრავს.

მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის შემდეგ ქართული წარწერების მეცნიერული პუბლიკაციის ახალი ეტაპი დაკავშირებულია ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953) სახელთან. 1912 წელს მეცნიერმა ლიკანის ეკლესის სამრეკლოს სააღმშენებლო წარწერა რუსულ ენაზე გამოსცა და წარწერაში მოხსენიებული მეფეთმეფის ასული თამარი XIV საუკუნის მოღვაწედ მიიჩნია. ამის გათვალისწინებით, მან წარწერის ქრონოლოგიაც

² ისტორიკოსმა თემო ჯოჯუამ 1160 წლის გარეჯში გადაწერილი კრებულის (Ven.4-ის) ანდერძის, ტბეთის სახარების (Q-929) 1161 წლის კოლოფონის, სამთავისის ეკლესიის 1168 წლის იოვანე სამთავნელის სააღმშენებლო წარწერის, XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანეცის ქრონიკის, სტეფანოზ ორბელიანის XIII საუკუნის მიწურულს შედგენილი „სოუნიქის ისტორიისა“ და XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერის (A-85) კინკლოსის ცნობათა ურთიერთშეჯვერების შედეგად სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა გიორგი III-ის აღსაყდრების ახალი თარიღი და აღნიშნული მოვლენა 1156 წლის ნაცვლად, 1157 წლით განსაზღვრა (თემოურაზ ჯოჯუა, XII საუკუნის ქართული ხელნაწერი კრებული (Ven.4) და მისი ანდერძ-მინაწერები (ისტორიულ-წყროთმცოდნეობითი გამოკვლევა), ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი 2009 წელი, გვ. 85-97.

იმავე XIV საუკუნით განსაზღვრა. აღნიშნული წარწერის შესახებ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ექვთიმე თაყაიშვილის პირად არქივში მოიპოვება მის მიერ შესრულებული ჩანაწერი ლიკანის სამრეკლოს სააღმშენებლო წარწერის შესახებ. ჩანაწერის მიხედვით, მას 1893 წლის 29 სექტემბერს მოუნახულებია ლიკანის ღმრთისმშობლის ეკლესია და მის სამრეკლოს ქვაზე შესრულებული ასომთავრული წარწერაც. მეცნიერს მოცემული აქვს წარწერის მისეული წაკითხვა (განსხვავებული 1912 წლის წაკითხვასთან) ქართულ ენაზე, წარწერის შესწავლის ისტორია რუსულ ენაზე.³ გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილის პირად არქივში ინახება მეტად საყურადღებო წერილი ახალციხელი ფოსტალიონის ვასილ ტაგანაშვილისა მიწერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი რომანოვების მმართველობის დროს ბორჯომის ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლების (სადგერისა და ჩითახევის ეკლესიების წარწერების) განადგურების შესახებ.⁴

თორის ხეობის წარწერებს თავი მოუყარა და გამოსცა სერგი მაკალათიამ (1893-1974) თავის 1957 წელს გამოცემულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევში „ბორჯომის ხეობა“. მან პირველად შემოიტანა ქართულ სამეცნიერო წრეებში გუჯარეთის ხეობაში მდებარე წითელსოფლის, მაჭარწყლის ეკლესიათა წარწერების მისეული წაკითხვები. გარდა ამისა, იგი გვთავაზობს ბორჯომის ხეობის გამოცემულ წარწერებსაც.

ბორჯომის ხეობის რამდენიმე ლაპიდარული და ფრესკული წარწერა გამოცემულია ნიკო ბერძენიშვილის (1895-1965) მიერ. იგი 1947 წლის ზაფხულში იმყოფებოდა ბორჯომში დასასვენებლად, რომლის ფარგლებში მოინახულა ხეობის ძირითადი ხუროთმოძღვრული ძეგლები. სწორედ მან გაამახვილა პირველად ყურადღება ტიმოთესუბნის ეკლესიის წარწერაზე. ისტორიკოსმა შემოგვთავაზა წინამდებარე წარწერის სწორი წაკითხვა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ეს გახლდათ შალვა ერისთავთ-ერისთავის სავედრებელი ტექსტიდა არა ვინმე შალვას, ესტატესა და სულას სავედრებელი წარწერა, როგორც ნიკო ბერძენიშვილამდე ეს წაიკითხა მარი ბროსემ. მეცნიერი

³ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, საქმე №548.

⁴ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, საქმე 1983.

სავსებით სამართლიანად ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარწერაში მოხსენიებული შალვა ერისთავთ-ერისთავი გახლდათ ერთიანი საქართველოს მეფის, თამარის ერთგული ფეოდალი – XII-XIII საუკუნეების მიჯნის ცნობილი ისტორიული და სამხედრო მოღვაწე შალვა ახალციხელი. მისი დაკვირვებით, ტიმოთესუბნის ეკლესია შალვა ახალციხელისა და მისი ფეოდალური სახლის განსასვენებელს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მან მოინახულა ქვაბისხევის ეკლესიის სამხრეთ ნავში გამოსახული ქალისა და მამაკაცის ფრესკული გამოსახულებები ამავე ფრესკული წარწერებით – „იაი“ და „შოთა“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ფრესკულ წარწერაში მოხსენიებული შოთა ხომ არ შეიძლება ყოფილყოყ XII საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

ასევე დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ ხელოვნებათმცოდნებს (გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, რუსუდან მეფის-აშვილი, რენე შმერლინგი, პარმენ ზაქარაია, გიორგი გაგოშიძე) ბორჯომის ხეობის წარწერების შესწავლისა და გამოცემის საქმეში.

ბორჯომის ხეობის წარწერები მოტანილია XX საუკუნის 50-80-იან წლებში გამოცემულ (ნოდარ შოშიაშვილი, გიორგი ხუჯაძე და სხვ.) ამ ხეობის მატერიალური კულტურული ძეგლები-სადმი მიძღვნილ გზამკვლევისა თუ სამეცნიერო (ვლადიმერ აბულაძე, ვაჟა კიკნაძე და სხვ.) სახის ნაშრომებში, რომლებიც მეტად ძვირფას ინფორმაციას შეიცავენ აღნიშნული ხეობის ამა თუ იმ წარწერის შესახებ.

თორის ხეობის წარწერების გამოცემისა და შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი ღვანლი მიუძღვის დევი ბერძენიშვილს (1934-2008). მან თავისი ცალკეული პუბლიკაციებისა (ქვაჯვარა გუჯარეთის თონეთიდან) და მონოგრაფიების (წარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან; გუჯარეთი) სახით ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში შემოიტანა ისეთი მნიშვნელოვანი წარწერები, როგორებიცაა: XIII-XIV სს. დიდი თონეთის ეკლესიის ქვაჯვარას წარწერა, X ს. თელოვანის ეკლესიის თეოდორეს სავედრებელი წარწერა და სხვ. და ისინი შეისწავლა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით.

ბორჯომის ხეობის წარწერების შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანა – ვალერი სილოგავამ (1945-2011). მისეულ წაკითხვას დაეყრდნო დევი ბერძენიშვილი გუჯარეთის ხეობაში მდე-

ბარე ტყემლოვანის მონასტრის სავედრებელი წარწერის გამოქვეყნებისას. სწორედ მისი სამეცნიერო ნაშრომის საშუალებით გახდა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის თბილისის სახელმწიფო მუზეუმში დავანებული ახალდაბის ეკლესის მოდელისა და მის კედლებზე სინგურით შესრულებული ასომთავრული წარწერის შესახებ, სადაც იხსენიება ერისთავთ-ერისთავი გამრეკელი, მისი თანამეცხედრე – დიოფალთ დიოფალი ვანენი და მისი ვაჟი. მეცნიერმა ეს წარწერა გამოაქვეყნა მაღალ აკადემიურ დონეზე, რომელსაც დართული აქვს აგრეთვე ისტორიულ-წყაროთმცოდნებითი ანალიზი.

როგორც ვხედავთ, ბორჯომის ხეობის წარწერების შესწავლას 200 წელზე დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ წარწერების შეკრების, შესწავლისა და გამოქვეყნების პროცესი. სწორედ ამ დროს გამოვლენილი და გამოცემულია 30-მდე ლაპიდარული თუ ფრესკული წარწერა. მათი ერთი ნაწილი დღეისათვის აღარ არსებობს და მხოლოდ ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაციების სახითაა შემონახული ცნობები მათ შესახებ, უმეტესი ნაწილი წარწერების დღესაც ადგილზე იხილვება, ხოლო ზოგიერთი მათგანი გადატანილია ადგილობრივ (ბორჯომის მხარეთმცოდნების მუზეუმი) და თბილისის მუზეუმებში (აკად. სიმონ ჭავანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი; შალვა ამირანაშვილის სახელმწიფო სახლოვნების მუზეუმი).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იზრდება თორის ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლების ფონდი. 2008 წელს სოფელ ახალდაბის სამხრეთით მდებარე ფოთოლეტის ეკლესიაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ტაძრის ჩრდილო გარშემოსავლელში, უფრო კონკრეტულად, სამკვეთლოს დასავლეთით კედლის dირში გამოვლენილ იქნა აკლდამა. აღნიშნული აკლდამის სახურავის ქვის ფილაზე (როგორც ჩანს, ფილას მეორადი გამოყენების ფუნქცია ჰქონდა შეთავსებული) შესრულებულია შერეული ასომთავრული, ნუსხური და მხედრული წარწერები.

პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში წავიკითხეთ ფოთოლეტის ეკლესიის ნაკანრი წარწერები და ისინი შევისწავლეთ ისტორიულ-წყაროთმცოდნებითი თვალსაზრისით. წარწერებზე ჩატარებულმა პალეოგრაფიულმა კვლევამ საშუალება მოგვცა, დაბეჯითებით გვეთქვა, რომ თავდაპირველად ფოთოლეტის

ეკლესია აგებული იყო წმიდა გიორგის სახელზე. ამით საფუძველი გამოეცალა ჩვენამდე ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებულ მოსაზრებას (დავით ხოშტარია) იმის შესახებ, რომ სწორედ ფოთოლეთის ეკლესია გახლდათ გრიგოლ ხანცოლის ერთ-ერთი მონაფის, ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკე-წმინდა. ამის პარალელურად, ყურადღება გავამახვილეთ 2012 წელს ჩითახევის ეკლესიაში („მწვანე მონასტერი“) ადგილობრივი მოწესების მიერ ნაპოვნ ანტეფიქსის წარწერაზე წმიდა გიორგის მოხსენიებით, რითაც კიდევ ერთხელ დოკუმენტურად დადასტურდა ამ ეკლესის მფარველი წმინდანის სახელი. ეს მაშინ, როცა მეცნიერთა ერთი ნაწილი (რუსუდან მეფისამვილი) კვირიკეწმინდის ტაძრად სწორედ ჩითახევის ეკლესიას მიიჩნევდა. ფოთოლეთის ეკლესის ნაკანი წარწერების, ჩითახევის ანტეფიქსის წარწერისა და XIV საუკუნის უცნობი მემატიანის – უამთააღმწერლის თხზულებაში დაცული ცხონბების ურთიერთ-შეჯერების საფუძველზე საბოლოოდ დოკუმენტურად მოვახდინეთ „გრიგოლ ხანცოლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული კვირიკეწმიდის ლოკალზაცია და ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოხსენიებული მონასტერი გავაიგივეთ სოფელ ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სახელით ცხონბილ სამონასტრო კომპლექსთან. გარდა ამისა, გამოვავლინეთ XI საუკუნის ჩვენამდე უცნობი ოვანეს სავედროებელი ნაკანი წარწერა გუჯარეთის ხეობაში მდებარე მაჭარწყლის ეკლესიდან.

კორპუსული გამოცემის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია წარწერების შესწავლის ისტორია, რის შემდეგ მოცემულია წარწერები შემდგომი პრინციპით: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის თარიღი; გ) წარწერის რაობა; დ) წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა; დ) წარწერის დაცულობის ხარისხი; ე) წარწერის გამოცემები (გამოცემული წარწერების შემთხვევაში წინა გამომცემელთა მიერ შესრულებული სამუშაოს დეტალური აღწერილობა ამა თუ იმ წარწერის გამოცემისას; წინა გამომცემელთა წარწერის წაკითხვები სრული სახით); ვ) წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში; ზ) წარწერის დათარიღების საფუძველი; თ) წარწერის პალეოგრაფიული პირი; ი) წარწერის გადმონახერი და ჩვენებული წაკითხვა (წარწერის სწორი წაკითხვის შემთხვევაში წინა გამომცემელთა წაკითხვის გაზიარება); კ) წარწერის შავ-თეთრი ფოტო. წარწერების შავ-თეთრი ფოტოები და პალეოგრაფიული პირები წინამდებარე

კორპუსის პალეოგრაფიულ მნიშვნელობას ერთი-ორად ზრდის. წარწერების ნაწილი შესწავლილია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, რაც კორპუსის სამეცნიერო ღირებულების მთავარ განმსაზღვრელ კომპონენტს წარმოადგენს. სწორედ წარწერის ტექსტების შემდეგ არის მოცემული მათი ნაწილის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. კორპუსში გამოყენებული ბიბლიოგრაფია მოცემულია ანბანური თანმიმდევრობით. სულ ბოლოს, წიგნს დართული აქვს პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ԺԵՂԱԾՈՅ

ბორჯომის ხეობა. ჩითახევის („მწვანე მონასტრის“) წმიდა გიორგის ეკლესია

1.

[IX ს.]

ანტეფიქსის წარწერა წმიდა გიორგის მოხსენიებით (სურ.1)

2012 წელს მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული განმენდითი სამუშაოების შედეგად ადგილობრივი მოწესების მიერ გამოვლინდა ანტეფიქსის წარწერა წმიდა გიორგის მოხსენიებით. დღეისათვის ანტეფიქსის წარწერა ჩითახევის ეკლესიაში ინახება.

ანტეფიქსის ქვა (ზომა: 12 X 12 სმ.) სამკუთხედი ფორმისაა, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ჯვარი (ზომა: 8 X 5 სმ.). ჯვარი თავის მხრივ კვარცხლბეჭებულია შემდგარი; ჯვრის მკლავის დაბოლოებები ოთხივე მხარეს სამკუთხედი ფორმით არის შიგნით ჩაჭრილი; წარწერა შესრულებულია მუქ ყავისფერ ქვაზე; ანტეფიქსის ქვა მის ქვედა ნაწილში ორივე მხარეს ხის ნიწვების მსგავსი დეკორით არის გაფორმებული; ჯვრის ზედა მარჯვენა მხარეს გამოსახულია ოთხკუთხა ფორმის ფიგურა, რომელსაც ორივე მხრიდან კვეთს სწორი ხაზი; აღნიშნული ჯვრის ქვედა ორივე მხარესა და ზედა მარცხენა მხარეს გამოქანდაკებულია ძველი ქართული წარწერა; ასომთავრული, რელიეფური; 3 სტრიქონი; წარწერა შესრულებულია ე.ნ. „სარკისებური“ ანუ შებრუნებული მოხაზულობით; წარწერის ფართობი: 5,7 X 4,4 სმ.; წარწერის ყველაზე დიდი გრაფემა: ჩ (I სტრიქონის I გრაფემა) — 4,5 X 1 სმ.; წარწერის ყველაზე პატარა გრაფემა: ე (III სტრიქონის II გრაფემა) — 0,5 X 1 სმ.; წარწერას განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

დაზიანება: წარწერა დაზიანებულია. წარწერის მესამე გრაფემის „I“-ს ზედა ნაწილი გაზიდულია მარჯვნივ. სწორედ ეს გაზიდული ხაზი ამოტეხილია, თუმცა ამ ხაზის ბოლო წაწილი

შემორჩენილია, რაც გვეხმარება იმის წარმოსადგენად თუ როგორი იყო თავდაპირველად ასო-ნიშანი „ლ“.

გამოცემები:

1. თამაზ გოგოლაძე, 2014, 162-184.⁵

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

IX ს. (თამაზ გოგოლაძე).

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერა მოთავსებულია ოთხსაზოვან ბადეში. წარწერის პირველი გრაფემის „წილი“ ორივე, ზედა და ქვედა მუცელი შეკრულია. წარწერის მეორე გრაფემა „იოტა“ კრავს მუცელს და არ აქვს ზედა ხაზი. ასეთივე „იოტა“ გვხვდება IX-X საუკუნეების მსიხუას ანტეფიქსის წარწერაში. მესამე გრაფემას „განი“ ზედა ნაწილი გაზიდული აქვს. როგორც ცნობილია, ასო „განი“ V-VIII საუკუნეების ქართულ ეპიგრაფიკაში იწერებოდა დამატებითი განივი ხაზის გარეშე. IX საუკუნიდან მათ უჩნდებათ ასეთი დამატებითი ხაზები. აღნიშნული გრაფემის ქუსლი დაკუთხული არ არის და ოდნავ მომრგვალებულია. იგივე შეიძლება ითქვას მეოთხე გრაფემასთან „ინი“ დაკავშირებითაც, რომლის ქვედა ხაზი მომრგვალებისაკენ არის მიღრეკილი. აღნიშნული პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის წარწერა ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით — IX საუკუნით უნდა დათარიღდეს.

⁵ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს:
ა) წარწერის პოვნის ისტორია; ბ) წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა;
გ) წარწერის გადმონაწერი დენის შრიფტის დაცვით; დ) წარწერის შავ-
თეთრი ფოტო; ე) წარწერის წაკითხვა; ვ) წარწერის პალეოგრაფიული
დახასიათება; ზ) წარწერის დათარიღება; და თ) წარწერის ისტორიულ-
წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

1. Բ
2. Ը
3. ՂԵ

„Ե/{ԹՈԾԱ}Ք / Ձ{ՈՈՐՑ}Ո“⁶



Ծորչոմիս մեարյտմբռլնեօծիս մշտյամի

2. [IX և.] Տապահագութեալո Եարներա Թովայլուսա

Ծուածատվուս Եարներյէինո յեզա դա մասնից ամոյանրուլո ասոմտացրուլո Եարներյէի դակարցուլագ արուս միհնեյլո. XX Տապահագունու 20-իան Ելեամքը Եարներինո յեզա Ծորչոմիս Տարկմի ոյս գամոցյենոլո. Տամբութարուգ, մուսո Եարմոմազլոննու Շեսաեց արանանոր Ինցորմացուամ Իցենամքը ար մոալինա. XX Տապահագունու 20-իան Ելեամքնո Եարներինո յեզա Ծորչոմիս մոմեժարո Եպալլուգոննու Մատեակու Շեյմնա դա ճայուարցա. Տապահնուրուգ Շեմոցը Եարներինո յեզու Յոռքոնեցագուզու դա Յոռքուրատո. Տնօրու Յոռքուրատուս Տամպալեամուտ Եարմուագցենտ Ենամքեարյ յեզանց ամոյանրուլ որ Տապահագութեալ Եարներաս.

Յոռքուրատուս միեցազուտ, Գոմինուս յեզանց գամոսաեյլու մջագոմարյ յերուստը, Ռոմելսաց Գոմինուս մտելու Տուրու Շկացուա. մուս որուզ մեարյս մապահագութեալ Տոնիամու արուան որու Տայրո Գանսապմելմի գամոնցոննու Տոնի. Գոմինուս Ցեմո Եաննու Տո-

⁶ Եարներու Եակուտեզա Տեզա գամուցեմեամի:

1. Տամանց ցողովամք: „Ե/ԹոԾԱ/Ք Ձ/ՈՈՐՑ/Ո“.

მეტრიულად გამოსახულია ორი მფრინავი ანგელოზის პატარა ფიგურა. რელიეფი მჭიდროდ ავსებს ტიმპანის ზედაპირს, თავისუფალი ადგილები დათმობილი აქვს მოკლე შინაარსის წარნერებს. მარცხნივ მდგომ მავედრებელ პოზაში მყოფ საერო პირს წვერი აშკარად ეტყობა, მარცხენას კი წვერის მანიშნებელი ვერტიკალური ხაზები არ უჩანს.

მარცხენა ფიგურის თავზე ამოკანრულია ძველი ქართული წარნერა; ასომთავრული შერეული ნუსხურით; 2 სტრიქონი; წარნერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი; ფოტოსურათის მიხედვით, წარმოვადგენთ წარნერის გადმონაწერს ასომთავრული და ნუსხური შრიფტით.

დაზიანება: როგორც სურათიდან ჩანს, წარნერა XX საუკუნის 20-იან წლებამდე დაზიანებული არ იყო. წარნერის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხებოდა.

გამოცემები:

1. წათელა ალადაშვილი, 1977, 69.⁷
2. დევი ბერძენიშვილი, 1987, 55.⁸
3. თამაზ გოგოლაძე, 2014, 114.⁹

⁷ წათელა ალადაშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) რელიეფის აღნერა; და ბ) რელიეფის შავ-თეთრი ფოტო.

⁸ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) ტიმპანის ქვის დეტალური აღნერილობა წათელა ალადაშვილის ნაშრომზე დაყრდნობით; ბ) ტიმპანისა და, შესაბამისად, წარნერის თარიღი; გ) წარნერის დამწერლობის სახეობა; დ) წარნერის გადმონაწერი მხედრული შრიფტით; ე) წარნერის წაკითხვა; ვ) წარნერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი; და ზ) წარნერის შავ-თეთრი ფოტო.

⁹ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარნერის ადგილმდებარეობა; ბ) წარნერის დამწერლობის სახეობა; გ) წარნერის ტექსტი (იმეორებს დევი ბერძენიშვილის წაკითხვას); და დ) წარნერის თარიღი.

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

IX ს. (ნათელა ალადაშვილი; დევი ბერძენიშვილი; თამაზ გოგოლაძე).

წარწერის დათარიღების საფუძველი: წინამდებარე კორპუსში ვიზიარებთ ნათელა ალადაშვილის მიერ შემოთავაზებულ ტიმპანის ქვის თარიღს – IX საუკუნეს, რომლის თანადროულიც უნდა იყოს მასზედ ამოკანრული წარწერები. აქედან გამომდინარე, მიქაელის სავედრებელ წარწერას IX საუკუნით ვათარიღებთ.



1. † 7
2. ყ 7 ჭ 7 7

„ქ(რისტ)ე, / შე(ი)ნ(ყალე) მ(ი)ქ(ა)ლ“.¹⁰

¹⁰ წარწერის ნაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. დევი ბერძენიშვილი: „ქრისტე შეიწყალე მიქელ“.
2. თამაზ გოგოლაძე: „ქრისტე შეიწყალე მიქელ“.

3.

[IX ს.]

სავედრებელი წარწერა ჯაფარისა

მარჯვენა ფიგურის თავზე ამოკანრულია ძველი ქართული წარწერა; ასომთავრული; 2 სტრიქონი; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმად გამოყენებულია სწორი განვით ხაზი; ფოტოსურათის მიხედვით, მოვიტანთ წარწერის გადმონაწერს ასომთავრული შრიფტით.

დაზიანება: როგორც სურათიდან ჩანს, წარწერა XX საუკუნის 20-იან წლებამდე დაზიანებული არ იყო. წარწერის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხებოდა.

გამოცემები:

1. წათელა ალადაშვილი, 1977, 69.¹¹
2. დევი ბერძენიშვილი, 1987, 55.¹²
3. თამაზ გოგოლაძე, 2014, 114.¹³

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

IX ს. (წათელა ალადაშვილი; დევი ბერძენიშვილი; თამაზ გოგოლაძე).

¹¹ წათელა ალადაშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) რელიეფის აღწერა; და ბ) რელიეფის შავ-თეთრი ფოტო.

¹² დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) ტიმბანის ქვის აღწერილობა წათელა ალადაშვილის წარმომზე დაყრდნობით; ბ) ტიმბანისა და, შესაბამისად, წარწერის თარიღი; გ) წარწერის დამწერლობის სახეობა; დ) წარწერის გადმონაწერი მხედრული შრიფტით; ე) წარწერის წაკითხვა; ვ) წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ან-ალიზი; და ზ) წარწერის შავ-თეთრი ფოტო.

¹³ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა; გ) წარწერის ტექსტი (იმეორებს დევი ბერძენიშვილის ზაკითხვას); და დ) წარწერის თარიღი.

წარწერის დათარილების საფუძველი: წინამდებარე კორპუსში ვიზითარებთ ნათელა ალადაშვილის მიერ შემოთავაზებულ ტიმბანის ქვის თარიღს – IX საუკუნეს, რომლის თანადროულიც უნდა იყოს მასზედ ამოკანრული წარწერები. აქედან გამომდინარე, ჯაფარის სავედრებელ წარწერას IX საუკუნით ვათარილებთ.

1. † 7
2. ჟ 7 ჩ ფ ქ



„ქ(რისტ)ე, / შე(ი)ნ(ყალე) ჯ(ა)ფ(ა)რ“.¹⁴

გუარეთის ხეობა. თოთხამის ციხის ეკლესია

4.

[IX-X სს.]

წარწერის ფრაგმენტი

დღეისათვის წარწერა ტაძრის ინტერიერში აღარ იხილვება. დევი ბერძენიშვილს იგი შეუმჩნევია აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხეველში ამოკვეთილი სამი გრაფემა — „დღმ“ დაქარაგ-მებით. წარწერის ქრონოლოგიას პალეოგრაფიული ნიშნებისა და ასომთავრულთან ერთად ნუსხური „ლ“ ხმარების საფუძველზე IX-X საუკუნეებით განსაზღვრავს.

¹⁴ წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. დევი ბერძენიშვილი: „ქრისტე შეიწყალე ჯაფარ“.
2. თამაზ გოგოლაძე: „ქრისტე შეიწყალე ჯაფარ“.

გამოცემები:

1. დევი ბერძენიშვილი, 1987, 12.¹⁵

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

IX-X სს. (დევი ბერძენიშვილი).

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერის დათარიღებისას ვიზიარებთ დევი ბერძენიშვილის ეულ დათარიღებას და, მის მსგავსად, წარწერის თარიღს IX-X საუკუნეებით განვსაზღვრავთ.

1. რ~მ~ჭ
„დ ლ~მ.“¹⁶

გუჯარეთის ხეობა. „წითელი ექლესია“

5.

[X-XI სს.]

სავედრებელი წარწერა ეკლესიის ქტიტორის მახარებლისა (სურ. 2)

წარწერა ამოკვეთილია ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე, კარნიზის ქვემოთ მდებარე ქაზე, მიწის დონიდან 656 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომებია: 62,5 X 60 სმ.; წარწერის ფართობი: 22 X 56 სმ.; 3 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: ჭ (II სტრიქონის II გრაფემა) — 6,2 X 2,9 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: । (III სტრიქონის VII გრაფემა) — 2,5 X 1,9 სმ.; წარწერას განკვეთილობის ნიშნე-

¹⁵ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს:
ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა; და
გ) წარწერის დათარიღება.

¹⁶ წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. დევი ბერძენიშვილი: „დლ~მ“.

ბი არ ახლავს; წარწერაში ქარაგმად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

დაზიანება: წარწერიანი ქვა კლიმატური პირობების გამო გა-დაცვეთილია და წარწერის გრაფემათა ნაწილი ცუდად განირჩევა. მიუხედავად ამისა, წარწერის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება.

გამოცემები:

1. სერგი მაკალათია, 1957, 15.¹⁷
2. სარგის კაკაბაძე, 1966, 66.¹⁸
3. გიორგი ზედგინიძე, 1977, 181.¹⁹
4. დევი ბერძენიშვილი, 1985, 45.²⁰
5. დევი ბერძენიშვილი, 1987, 9.²¹

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

1. XII-XIII სს. (სერგი მაკალათია).
2. თარიღი მოცემული არ აქვს (სარგის კაკაბაძე; გიორგი ზედგინიძე).
3. XI-XII სს. (დევი ბერძენიშვილი 1985).
4. X-XI სს. (დევი ბერძენიშვილი 1987).

¹⁷ სერგი მაკალათიას თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის წაკითხვა; გ) წარწერის დათარიღება; და დ) წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

¹⁸ სარგის კაკაბაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა; და გ) წარწერის ტექსტი (იმეორებს სერგი მაკალათიას წაკითხვას).


¹⁹ გიორგი ზედგინიძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის წაკითხვა; და ბ) წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

²⁰ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის თარიღი; და გ) წარწერის წაკითხვა.

²¹ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის წაკითხვა; გ) წარწერის დათარიღება; და დ) წარწერის შავ-თეთრი ფოტო.

წარწერის დათარიღების საფუძველი: სერგი მაკალათია წარწერის ტექსტში კითხულობს რა სიტყვა მხარგრძელს, ასევე ითვალისწინებს ქართულ წერილობით ძეგლებში ამ ფეოდალური საგვარეულოს მოხსენიებას XII-XIII საუკუნეებში, წინამდებარე წარწერასაც XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს. დევი ბერძენიშვილმა თავდაპირველად ეკლესია XI-XII საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლად მიიჩინია და ამავე ქრონოლოგიით განსაზღვრა ტაძრის წარწერაც. თუმცა, ოდნავ მოგვიანებით, მეცნიერი წარწერის ქრონოლოგიას პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, X-XI საუკუნეებით განსაზღვრავს. წინამდებარე კორპუსში ვიზიარებთ დევი ბერძენიშვილის მიერ წარწერის ბოლოს შემოთავაზებულ თარიღს – X-XI საუკუნეებს და, შესაბამისად, წარწერას X-XI საუკუნეებით ვათარიღებთ.

1. ჭავა ჭავა
2. ცა ცა
3. ჭა ჭა



„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე მ(ა)ხ(ა)რ(ე)ბ(ე)ლი / ამის წ(მიდი)სა ეკლ(ესიი)სა / მაშენებელი“.²²

²² წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. სერგი მაკალათია: „ქრისტე, შეიწყალე მხარგრძელი ამის ტ ხაენჯსა მაშენებელი“.
2. სარგის კაკაბაძე: „ქრისტე შეიწყალე მხარგრძელი, ამ (ეკლესიის) მაშენებელი“.
3. გიორგი ზედგინიძე: „ქრისტე შეიწყალე მახარებელი, ამის წმინდისა ეკლესიისა მაშენებელი“.
4. დევი ბერძენიშვილი: „ქრისტე, შეიწყალე მახარობელი ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელი“.
5. დევი ბერძენიშვილი: „ქრისტე, შეიწყალე მახარობელი ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელი“.

6.

[X-XI სს.]

წარწერა დავით გალატოზისა (?) (სურ. 3)

წარწერა ამოკვეთილია ტაძრის სამხრეთი შესასვლელი კარის მარცხნივ, მინის დონიდან 195 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომებია: 33 X 20 სმ.; წარწერის ფართობი: 12,5 X 15 სმ.; 2 სტრიქონი; ასომთავრული შერეული ნუსხურით; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: უ (I სტრიქონის II გრაფემა) — 5,5 X 3,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: რ (II სტრიქონის II გრაფემა) — 3 X 1,5 სმ., წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; წარწერაში ქარაგმად გამოყენებულია განივი სწორი ხაზი.


დაზიანება: წარწერა დაზიანებული არ არის. წარწერის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება.

გამოცემები: წარწერა გამოცემული არ არის. წინამდებარე კორპუსში ის პირველად ქვეყნდება.

წარწერის დათარილების საფუძველი: წარწერაში ნუსხური ასოების შერევა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მისი ქრონოლოგია X-XI საუკუნეებით განვსაზღვროთ.

1. Ծ უ მ
2. ჲ რ

„დ(ავით) გ(ა)ლ(ატო) / ზი (?)“.



ეკლესიისა მაშენებელი“.

გუჯარეთის ხეობა. მაჭარწყლის ეკლესია

7.

[X-XI სს.]

სავედრებელი წარწერა ნიკოლოზისა (სურ. 4)

წარწერა ამოკვეთილია ტაძრის სამხრეთი შესასვლელის არქიტრავის ქვაზე, მინის დონიდან 150 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომებია: 55 X 93 სმ.; წარწერის ფართობი: 6 X 21,5 სმ.; 1 სტრიქონი; ასომთავრული; წარწერის ტექსტის ყველაზე დიდი გრაფემა: ნ (I სტრიქონის III გრაფემა) — 4,2 X 2,2 სმ.; წარწერის ყველაზე პატარა გრაფემა: ლ (I სტრიქონის IV გრაფემა) — 3,8 X 1,3 სმ.; წარწერაში ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები გამყენებული არ არის.

დაზიანება: წარწერიანი ქვა გადარეცხილია, რის გამოც წარწერის გრაფემები ცუდად განირჩევა. ასევე წარწერა ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. კერძოდ, წარწერის ბოლო ნაწილი აღარ იკითხება.

გამოცემები:

1. სერგი მაკალათია, 1957, 18.²³
2. დევი ბერძენიშვილი, 1985, 46.²⁴
3. დევი ბერძენიშვილი, 1987, 28.²⁵
4. თამაზ გოგოლაძე, 2014, 98.²⁶

²³ სერგი მაკალათიას თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; და ბ) წარწერის ნაკითხვა.

²⁴ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის ნაკითხვა; და გ) წარწერის დათარილება.

²⁵ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის გადმონაწერი მხედრული შრიფტით; გ) წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი; და დ) წარწერის დაცულობის ხარისხი.

²⁶ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; და ბ) წარწერის ტექსტი (იშეორებს დევი ბერძენიშვილის წარწერას).

წარწერის დათარილება წინა გამოცემებში:

1. თარიღი მოცემული არ აქვს (სერგი მაკალათია, დევი ბერძენიშვილი 1985, თამაზ გოგოლაძე).
2. XI-XII სს (დევი ბერძენიშვილი 1987).

წარწერის დათარილების საფუძველი: წარწერა პალეოგ-რაფიული თავისებურებების მიხედვით X-XI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

+1 ჩრდილო

1. +1 ჩრდილო[...]

„ქრისტე, ნიკოლოზიზ [...]“.²⁷

8.

[XI ს.]

სავედრებელი წარწერა იოვანესი (სურ. 5)

სოფელ მაჭარწყლის განაპირას შემაღლებულ ფერდობზე დარბაზული ტიპის ეკლესია მდებარეობს, რომლის ინტერი-ერში დასავლეთ კედელში ჩადგმულ მომწვანო ქვაზე ამოკან-რულია ნუსხური წარწერა, მიწის დონიდან 195 სმ-ის სი-მაღლეზე; 1 სტრიქონი; წარწერიანი ქვის ზომებია: 43 X 88 სმ.; წარწერის ფართობი: 10 X 63,5 სმ.; წარწერის ყველაზე დიდი

²⁷ წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. სერგი მაკალათია: „ქრისტე, ნიკოლოზ“.
2. დევი ბერძენიშვილი: „ქრისტე, ნიკოლოზ...“.
3. დევი ბერძენიშვილი: „ნიკოლოზ“.
4. თამაზ გოგოლაძე: „ნიკოლოზ“.

გრაფემა: ჭ (I სტრიქონის I გრაფემა) — 7 X 2 სმ.; წარწერის ყველაზე პატარა გრაფემა: უ (I სტრიქონის VII გრაფემა) — 1 X 0,4 სმ.; წარწერას განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს; წარწერის ტექსტის შუა ნაწილში გამოსახულია ე. წ. დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც შემოქმედის ანუ ქრისტეს სიმბოლოა. სწორედ ექვსქიმიან ვარსკვლავშია ამოკანრული წარწერის რამოდენიმე გრაფემა.

დაზიანება: წარწერა კლიმატური პირობების გამო გადარეცხილია, რის გამოც მთელი რიგი გრაფემები ცუდად განირჩევა. მიუხედავად ამისა, წარწერა თავიდან ბოლომდე სრულად იკითხება.

გამოცემები:


1. თამაზ გოგოლაძე, 2014, 99.²⁸

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

XI ს. (თამაზ გოგოლაძე).

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერა შესრულებულია მდივან-მწიგნობრული ნუსხურით, რაც ძირითადად XI საუკუნის წარწერებისათვისაა დამახასიათებელი.

²⁸ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის ტექსტი მხედრული შრიფტით; გ) წარწერის დათარიღება; და დ) წარწერის ფერადი ფოტო.



1. ჭულ ყულყციურ უალუსწელ ღამძორით აფრიქანი

„ქრისტე, შეიტყვალე იოვანე ცოდვისლი, ულირსი“.²⁹

გუჯარეთის ხეობა. ტყემლოვანის ეკლესია

9.

[X-XI სს.]

კვირიკეს სავედრებელი წარწერა (სურ. 6)

წარწერა ამოკვეთილია ტაძრის სამხრეთი შესასვლელის არქიტრავის ქვაზე, მიწის დონიდან 410 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომებია: 45 X 97 სმ.; წარწერის ფართობი: 7 X 45 სმ.; 1 სტრიქონი; მდივან-მნიგნობრული მხედრული; წარწერის ტექსტის ყველაზე დიდი გრაფემა: ნ (I სტრიქონის VII გრაფემა) — 4,5 X 6 სმ.; წარწერის ყველაზე პატარა გრაფემა: ი (I სტრიქონის VI გრაფემა) — 0,3 X 1,7 სმ.; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; წარწერაში ქარაგმად გამოყენებულია სწორი განივი და მარცხნიდან მარჯვნივ ზევით აწეული სწორი ხაზი.

დაზიანება: წარწერა დაზიანებული არ არის. წარწერის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება.

²⁹ წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. თამაზ გოგოლაძე: „ქრისტე შეიტყალე იოვანე ცოდვილი...“.


გამოცემები:

1. ვალერი სილოგავა, 1987, 24.³⁰
2. თამაზ გოგოლაძე, 2014, 95.³¹

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

1. X-XI სს. (ვალერი სილოგავა).
2. წარწერის თარიღი მოცემული არ აქვს (თამაზ გოგოლაძე).

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერის დათარიღებისას ვიზიარებთ ვალერი სილოგავასეულ დათარიღებას და, მის მსგავსად, წარწერის თარიღს X-XI საუკუნეებით განვსაზღვრავთ.



1. ქო(?) ყოლინი(?) ნ~ე ი ~ გო (?) შ~ე კ ~ ე

„ქ. უ(ფალო)(?) ყო{ვე}ლ<ი>ნი (?) ნ(ინაშ)ე {შენსა} (ა)იგო (?) , შ(ეინტენ)ე კ(პრიკ)ე“³²

³⁰ ვალერი სილოგავას თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით; გ) წარწერის დათარიღება; დ) წარწერის წაკითხვა; და ე) წარწერის შავ-თეთრი ფოტო.

³¹ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა; გ) წარწერის გადმონაწერი; დ) წარწერის წაკითხვა (იმეორებს ვალერი სილოგავას წაკითხვას); და ე) წარწერის დათარიღება (იზიარებს ვალერი სილოგავას დათარიღებას).

³² წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

10.

[X-XI სს.]

ნარწერის ფრაგმენტი

დღეისათვის წარწერა ტაძრის ინტერიერში აღარ იხილვება. დევი ბერძენიშვილს შეუმჩნევია აღმოსავლეთ ფასადის თავსართები, რომელიც მის დროს ძირში იყო ჩამოვარდნილი. ერთერთ თავსართის გამოსახულების მარცხნივ მეცნიერმა შეამჩნია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. წარწერის გამოცემისას დევი ბერძენიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით მის გადმონაწერს ასომთავრული შრიფტით წარმოვადგენთ, ხოლო ისტორიკოსის წაკითხვებიდან პირველ წაკითხვას - „ეკ(ლესია) წმინდა“ ვანიჭებთ უპირატესობას.

გამოცემები:

1. დევი ბერძენიშვილი, 1987, 26.³³
2. თამაზ გოგოლაძე, 2014, 96.³⁴

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

1. X-XI სს. (დევი ბერძენიშვილი).
2. წარწერის თარიღი მოცემული არ აქვს (თამაზ გოგოლაძე).

1. ვალერი სილოგავა: „ქო შლინი კ ჟ ე გ ზ ი შ ჲ ე ნ ჲ ; ქ(უფალო), შ(ვი)ლინი!) კ(ვრიკ)ე, გ(იორგ)ი, შე(ი)ნ(ყალ)ე“.

2. თამაზ გოგოლაძე: „ქ(უფალო), შ(ვი)ლინი!) კ(ვრიკ)ე, გ(იორგ)ი, შე(ი)ნ(ყალ)ე“.

³³ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა; გ) წარწერის გადმონაწერი მხედრული შრიფტით; დ) წარწერის წაკითხვები; და ე) წარწერის დათარიღება.

³⁴ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა; გ) წარწერის გადმონაწერი; და დ) ტექსტის წაკითხვა (იმეორებს დევი ბერძენიშვილის წაკითხვას).

1. ეკ...ჩვენთა

„ეკ[ლესია]... წმიდაა“.³⁵

ბორჯომის ხეობა, საქირე, „საყლორივაჟის“ ეკლესია

11.

[X-XI სს.]

სავეზრებელი წარწერა შაშიასი (სურ. 7)

წარწერა ამოკვეთილია მუქ ნაცრისფერ ლავგანდარის ქვაზე, რომელიც ეკლესიის ეზოში აგდია; წარწერიანი ქვის ზომებია: 20 X 86,5 სმ.; წარწერის ფართობი: 7 X 46,5 სმ.; 1 სტრიქონი; ასომთავრული შერეული ნუსხურით; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: 4 (I სტრიქონის III გრაფემა) — 5,5 X 4 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: 2 (I სტრიქონის VII გრაფემა) — 3,5 X 6,2 სმ.; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმად ნახმარია დიდი განივი ხაზი.

დაზიანება: წარწერიანი ქვა დაზიანებულია. მოტეხილია მისი დასაწყისი მარცხენა ქვედა კიდე და შუა ნაწილი. თუმცა წარწერა თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება.

გამოცემები:

1. დევი ბერძენიშვილი, 1985, 43; 47.³⁶

2. თამაზ გოგოლაძე, 2014, 76.³⁷

³⁵ წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. დევი ბერძენიშვილი: „ეკ... წმიდაა; „ეკ (ლესია) წმინდაა“ // „ეკატერინე“ წმინდაა“.

2. თამაზ გოგოლაძე: „ეკ... წმიდაა; „ეკ (ლესია) წმინდაა“ // „ეკატერინე“ წმინდაა“.

³⁶ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს:
ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა;
გ) წარწერის ტექსტი მხედრული შრიფტით; დ) წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი; და ე) წარწერის დათარიღება.

³⁷ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარ-

წარწერის დათარილება წინა გამოცემებში:

1. XII-XIII სს. (დევი ბერძენიშვილი).
2. წარწერის თარილი მოცემული არ აქვს (თამაზ გო-გოლაძე).

წარწერის დათარილების საფუძველი: წარწერაში ნუსხური ასოების შერევის საფუძველზე, წარწერის ქრონოლოგიას X-XI საუკუნეებით განვსაზღვრავთ.



1. $\dot{t}\sim\gamma\dot{y}\sim\gamma\dot{y}\sim\gamma\dot{C}$

„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე შ(ა)შ(ი)ა“.³⁸

12.

[X-XI სს.]

სავედრებელი წარწერა შპ (?) (სურ. 8)

წარწერა ამოკვეთილია მუქ ნაცრისფერ ლავგანდარის ქვაზე, რომელიც ეკლესიის ეზოში აგდია; წარწერიანი ქვის ზომებია: 18 X 92,5 სმ.; წარწერის ფართობი: 12 X 61,5 სმ.; 1 სტრიქონი; ნუსხური შერეული ასომთავრულით; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: 7 (I სტრიქონის II გრაფემა) — 8,5 X 11,5 სმ.; ყველაზე პატარა

წერის ადგილმდებარეობა; და ბ) წარწერის ტექსტი (იმეორებს დევი ბერძენიშვილის წაკითხვას).

³⁸ წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. დევი ბერძენიშვილი: „ქრისტე შეიწყალე შ~შ“, „შაშია“.
2. თამაზ გოგოლაძე: „ქრისტე შეიწყალე შ~შ“, „შაშია“.

გრაფემის ზომა: † (I სტრიქონის | გრაფემა) — 7 X 5 სმ.; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმად ნახმარია მორქა-ლული ფორმის განვითარები.

დაზიანება: წარწერიანი ქვა დაზიანებულია. მოტეხილია მისი ბოლო მარჯვენა ზედა კიდე. თუმცა წარწერა თავიდან ბოლომ-დე გარკვევით იკითხება.

გამოცემები:

1. დევი ბერძენიშვილი, 1985, 43.³⁹
2. თამაზ გოგოლაძე, 2014, 76.⁴⁰


წარწერის დათარიღება ნინა გამოცემებში:

წარწერის თარიღი მოცემული არ აქვს (დევი ბერძენიშვილი, თამაზ გოგოლაძე).

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერაში ნუსხური ასოების შერევის საფუძველზე, წარწერის ქრონოლოგიას X-XI საუკუნეებით განვსაზღვრავთ.

³⁹ დევი ბერძენიშვილს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის დამწერლობის სახეობა; და გ) წარწერის ტექსტი მხედრული შრიფტით.

⁴⁰ თამაზ გოგოლაძეს თავის პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; და ბ) წარწერის წაკითხვა (იმეორებს დევი ბერძენიშვილის წაკითხვას).



1. $\dot{t}_\eta \dot{y} \sim r_\eta \dot{y} u$

„ქრისტე, შეინყალე შპ (!)“.⁴¹

ბორიჯომის ხეობა. ფოთოლეთის წმიდა
გიორგის ეკლესია

13.

[XI ს.]

სავედრებელი წარწერა ნიკოლოზისა (სურ. 9)

2008 წელს ფოთოლეთის ეკლესიის ტაძარში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ექსპედიციის ხელმძღვანელი - რევაზ ხვისტანი) ნაცრისფერი ქვის ფილა (სურ. 10) (101 X 178,5 სმ.) აღმოჩნდა, რომელზედაც შესრულებულია 7 ნაკანწრი წარწერა ასომთავრული, მხედრული და ნუსხური დამწერლობით. ამჟამად წარწერიანი ქვა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ქვის ზედა მარცხენა მხარეს ამოკანწრულია ნიკოლოზის სავედრებელი წარწერა; მდივან-მწიგნობრული მხედრული შერეული ნუსხურით; 1 სტრიქონი; წარწერის ფართობი: 11,7 X 27,5 სმ.; წარწერის ყველაზე დიდი გრაფემა: კ (I სტრიქონის VII გრაფემა) — 11,7 X 2,5 სმ.; წარწერის ყველაზე პატარა გრაფემა: ნ (I სტრიქონის V გრაფემა) — 2 X 0,5 სმ.; წარწერას განკვეთი-

⁴¹ წარწერის ნაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. დევი ბერძენიშვილი: „ქრისტე შეინყალე შპ“.

2. თამაზ გოგოლაძე: „ქრისტე შეინყალე შპ“.

ლობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

დაზიანება: წარწერიანი ქვა დაზიანებულია. წარწერის ბოლო გრაფემა „ზ“ ქვის დაზიანებულ ნაწილშია მოთავსებული და ფრაგმენტულად იკითხება.

გამოცემები:

1. თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე, 2014, 136-137.⁴²
2. თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე, 2016-2017, 254.⁴³

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში:

XI ს. (თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე; თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე).

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერა გარდამავალი მხედრული დამწერლობითაა შესრულებული. ამის გათვალისწინებით, წარწერის ქრონოლოგიას XI საუკუნით განვსაზღვრავთ.

⁴² ავტორთა ჯგუფს თავიანთ პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვთ: ა) წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა; ბ) წარწერის პალეოგრაფიული პირი; გ) წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით; დ) წარწერის წაკითხვა; ე) წარწერის პალეოგრაფიული დახასიათება; ვ) წარწერის დათარიღება; და ზ) წარწერის ტექსტის ანალიზი.

⁴³ ავტორთა ჯგუფს თავიანთ პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვთ: ა) წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა; ბ) წარწერის პალეოგრაფიული პირი; გ) წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით; დ) წარწერის წაკითხვა; ე) წარწერის პალეოგრაფიული დახასიათება; ვ) წარწერის დათარიღება; და ზ) წარწერის ტექსტის ანალიზი.



1. ჭ ე ყ ე ნიკოლზ

„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ნიკოლიოზ“.⁴⁴

14.

[XI ს.]

სავედრებელი წარწერა მნათესი (სურ. 11)

ქვის შუა ნაწილში ამოკაწრულია მნათეს სავედრებელი წარწერა; სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური შერეული ასომთავრული ასო-ნიშნებით; 2 სტრიქონი; წარწერის ფართობი: 8 X 98,3 სმ.; წარწერის ყველაზე დიდი გრაფემა: լ (I სტრიქონის XIV გრაფემა) — 4,7 X 2 სმ.; წარწერის ყველაზე პატარა გრაფემა: ი (I სტრიქონის XX გრაფემა) — 1,1 X 1 სმ.; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

დაზიანება: წარწერიანი ქვა დაზიანებულია. წარწერის პირველი გრაფემა „ი“ ქვის დაზიანებულ ნაწილშია მოთავსებული და ფრაგმენტულად იყითხება. ასევე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი I სტრიქონის XVIII გრაფემა „ც“.

⁴⁴ წარწერის წაკითხვა სხვა გამოცემებში:

1. თამაზ გოგოლაძე, ორაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ნიკოლოზ“.
2. თამაზ გოგოლაძე, ორაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ნიკოლოზ“.

გამოცემები:

1. თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე, 2014, 142-144.⁴⁵
2. თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე, 2016-2017, 256-257.⁴⁶

მიხეილ ბახტაძე ეჭვის თვალით უყურებს შალვა ახალციხელის ახალქალაქის ერისთავობას. მისი აზრით, „შალვას ახალქალაქის ერისთავობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვივარაუდებთ, რომ კახა II-ს გარდაცვალების შემდეგ ერისთავი გახდა არა მისი ძე გამრეკელი (რომელიც შეიძლება მცირენლოვანი იყო), არამედ შალვა ახალციხელი. ასეთ შემთხვევაში შალვა ერისთავობას შეინარჩუნებდა 1225 წლამდე. მხოლოდ ამის მერე დაბრუნდებოდა ახალქალაქის ერისთავობა თორელთა ძირითადი შტოს ხელში და ერისთავი გახდებოდა გამრეკელი. თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ შალვა იყო რომელიმე სხვა მხარის ერისთავი“. აქედან გამომდინარე, ისტორიკოსს ჯავახე-

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი 2008 წელი, გვ. 494.

¹⁷⁹ ნოდარ შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებულში: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბილისი 1966 წელი, გვ. 33.

¹⁸⁰ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გურამ კარტოზიამ და ცოტნე კივიძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი 2008 წელი, გვ. 462.

თის (ახალქალაქის) ერისთავების რიგში შალვა ახალციხელი კითხვის ნიშნით ჰყავს მოყვანილი, რომლის ერისთავობასაც XIII საუკუნის I მეოთხედით განსაზღვრავს.¹⁸¹ მეცნიერთა ერთი ნაწილი (ლევან მუსხელიშვილი) გამრეკელის შვილებად სწორედ შალვა და ივანე ახალციხელებს მიიჩნევს.¹⁸²

თამარის ორივე მემატიანეს ცნობით, შალვა და ივანე ახალციხელები ზაქარია მხარგძელთან ერთად მეთაურობდნენ ბასიანის ბრძოლას რუმის სულთანის რუქნადინის ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა და რომელშიც თავისი უდიდესი წვლილი თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებმა, შალვა და ივანე ახალციხელებმა შეიტანეს. თამარის ანონიმი ისტორიკოსის ცნობით, შალვა ახალციხელი ამ ბრძოლაში მანდატურთუხუცესის საპატიო სახელოთია მოხსენიებული,¹⁸³ რასაც ადასტურებს ჯავახეთში მდებარე განძანის ქვემო ეკლესის შალვა მანდატურთუხუცესის წარწერა, სადაც ვკითხულობთ: „ქ(რისტ)ე ღ(მერთ)ო, ად(ი)დე ორთავე ცხორებათა{ა} მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა...“.¹⁸⁴

ლაშა გიორგის მემატიანის თანახმად, შალვა ახალციხელს თამარის მეფობის ბოლო წლებში კეჩიროლი აუღია. ისტორიკოსი მას ახასიათებს როგორც საუკეთესო მეომარს, „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“.¹⁸⁵ შალვა

¹⁸¹ მიხეილ ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი 2003 წელი, გვ. 258-259.

¹⁸² ლევან მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგის გარკვევის ცდა ჰამალუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი 1940 წელი, X-B, გვ. 35.

¹⁸³ შოთა მესხია შალვა თორელის მანდატურთუხუცესის საპატიო სახელის ფლობას ეჭვქვეშ აყენებს. უფრო დაწვრილებით იხ. შოთა მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისი 1979 წელი, გვ. 47-53; 57-59.

¹⁸⁴ გიორგი ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი 1981 წელი, გვ. 103.

¹⁸⁵ ლაშა-გიორგის დრონდელი მემატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ციალა ქურციკძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი 2008 წელი, გვ. 356.

თორელი თავისი მეომრული თვისებებით წარმოჩენილია განძანის წარწერაში, სადაც ნათქვამია: „ქ(რისტ)ე ღ(მერთ)ო, ადიდე ორთ(ა)ვე შ(ინ)ა ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)თა ძლიერი და უძლ(ე)ველი ყოელთა მტერთ(ა)გ(ა)ნ მეჭურჭლეთუხ[უცე]სი შალვა, რ(ომე)ლ(მა)ნ ძალითა [ღ(მრ)თ(ი)ს]ათა და მელავითა თავისითა შეაძრწუნვა ყოელი ს[ოფ(ე)ლი სპა]რსეთისად“.¹⁸⁶

როგორც განძანის წარწერიდან ჩანს, შალვა ახალციხელი მანდატურთუხუცესობამდე ფლობდა მეჭურჭლეთუხუცესის მაღალ თანამდებობას.

ჟამთააღმნერელი შალვა და ივანე ახალციხელებს იხსენიებს 1225 წელს ჯალალედინის წინააღმდეგ გამართულ გარნისის ბრძოლის დროს, როგორც საქართველოს ლაშქრის მონინავე სარდლებს. როგორც მემატიანე მოგვითხრობს, ათაბაგმა ივანე მხარგრძელმა შალვა და ივანე ახალციხელების წარმატებითა და სამეფო კარზე დაწინაურებით დაბოლბილმა მათ მაშველი ლაშქარი არ მიაშველა, რის გამოც ქართველთა ლაშქარი დამარცხდა. წინამდებარე ბრძოლაში ივანე ახალციხელი დაიღუპა, ხოლო მისი ძმა შალვა ახალციხელი ტყვედ ჩაუვარდა ჯალალედინს და ერთი წლის შემდეგ ანუ 1226 წელს მისივე ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს სჯულის შეცვლაზე უარის თქმის გამო.¹⁸⁷

ჟამთააღმნერლის თხზულებაში რუმის სულთანის ყიასედინის ლაშქარში მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს იხსენიება შალვა ახალციხელის ვაჟი ფახრადავლა, „რომელი ლტოლვილი წარსული იყო სულტანსა წინაშე, კაცი მქნე და წყობათა შინა სახელოვანი“.¹⁸⁸

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ტიმოთესუბნის წარწერის ქრონლოგიას ქართული ხარატიული წყაროებისა (ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, ბასილი ეზოსმოძღვარი, ჟამთააღმნერელი) და 1191-1210¹⁸⁹ წლების ჰამამლუს თამარ მეფისა და

¹⁸⁶ გიორგი ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპილარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი 1981 წელი, გვ. 102.

¹⁸⁷ ჟამთააღმნერელი, „ასწლოვანი მატიანე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ, ქართლის ცხოვრება, თბილისი 2008 წელი, გვ. 536-537.

¹⁸⁸ ჟამთააღმნერელი, „ასწლოვანი მატიანე“..., გვ. 551.

¹⁸⁹ ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. I დმანისის რაიონი (V-XVIII სს.), თბილისი 2017 წელი, გვ. 153-154.

კახა ერისთავის მოსახლეობელი წარწერის საფუძველზე, XII-XIII საუკუნეების ნაცვლად, XIII საუკუნის დასაწყისითა-1226 წლის ახლო ხანების პერიოდით განვსაზღვრავთ.

ქართული ანბანი

როგორც ცნობილია, ქართულ ანბანს 14 ძირითად ანბანს შორის თავისი გამორჩეული ადგილი უკავია. სწორედ მისი უნიკალურობის გამო, 2016 წელს (28 ნოემბერი-2 დეკემბერი) ქართული ანბანი მსოფლიომ აღიარა და UNESCO-ს გადაწყვეტილებით მსოფლიოს არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის ნუსხაში იქნა შეტანილი.

როგორც წესი, ქართული ანბანები შესრულებულია როგორც ხელნაწერი წიგნების გვერდებზე, ყდის საცავ ფურცლებზე ან თავისუფალ ადგილებზე, ასევე ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე.

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი გახლდათ გიორგი ჩუბინაშვილი, რომელმაც დოდოდ რქის მონასტრის სატრაპეზოს კედელზე ამოკანრული ქართული ანბანის ასო-ნიშნების საფუძველზე ქართულ ეპიგრაფიკაში ქართული ანბანის არსებობა დაადასტურა.

ძველ ქართულ ანბანებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დავათის სტელაზე (V—VI სს.) ამოკანრულ ქართულ ანბანს, რადგან ის დღემდე ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ანბანად არის მიჩნეული, რომელიც თავისი პალეოგრაფიული მონაცემებით IX-X საუკუნეებით თარიღდება.

ქართულ ანბანებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ფიტ-არეთის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლის შელესილობაზე შესრულებულ ქართულ ნუსხა-ხუცურ ანბანს. მის გამორჩეულობასა და უნიკალურობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მაშინ როდესაც ქართული ანბანები ეკლესია-მონასტრების კედლებზეა ამოკანრული, წინამდებარე ანბანი საღებავითა შესრულებული და სრული სახით არის მოღწეული. როგორც წესი, ხშირ შემთხვევებში ქართული ანბანები ჩვენამდე ფრაგ-

მენტული სახითაა მოღწეული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფიტარეთის ეკლესის ანბანის დამწერის ვინაობა ჩვენთვის ცნობილია. იგი შეუსრულებია ვინმე ილარიონს.

ნაკანი ქართული ანბანები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში სვანეთის (აცის, ჩვაბიანის, ტვიბის და სხვა ეკლესიების შელესილობაზე ამოკანტული ქართული ანბანები), სამეგრელოს (ჭყონდიდის ტაძრის ქართული ანბანის ნაწყვეტი — ლამაზი კალიგრაფიული დახვეწილობით შესრულებული პირველი ხუთი გრაფემა (აბგდე),¹⁹⁰ კახეთის (გარეჯის მრავალწყაროს ქართული ანბანები,¹⁹¹ გარეჯის უდაბნოს მონასტრის ანბანი)¹⁹² წერილობით ძეგლებშია დადასტურებული.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ქართული ანბანები შესრულებულია ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და ქართულ ხელნაწერის ფურცლებზე სხვადასხვა დანიშნულებით. ქართულ ხელნაწერის ფურცლებზე ისინი მოხაზულია სასწავლო, პრაქტიკული თუ მაგიური თვალსაზრისით. ქართულ ეპიგრაფიკაში კი მას ჰქონდა მაგიური დატვირთვა. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ, ეკლესიაში მისული პირი წყველისა თუ ლოცვა-კურთხევის დროს კედლებზე ავლებდა ხაზებს და მათ შორის ქართულ ასო-ნიშნებს. ამის ნათელი მაგალითია: ჩვაბიანის მთავარანგელოზის ეკლესის კედლებზე შესრულებული ქართული ანბანი. იგი უშუალოდ ებმის მწერალ გიორგის სავედრებელ ტექსტს, რაც ცხადყოფს დალოცვითა და შეწყალებით დანიშნულების მიზნით მის ამოკანრვას. აღნიშვნის ღირსია, ატენის სიონის საკურთხეველში ამოკანტული X საუკუნის მიწურულით დათარიღებული გარდამავალი მხედრული ანბანის ნაწყვეტი, რომელიც მოსდევს სავედრებელ ტექსტს — „სახელ-

¹⁹⁰ ვალერი სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბილისი 2006 წელი, გვ. 121.

¹⁹¹ ვალერი სილოგავა, ნარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.) პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბილისი 1999 წელი, გვ. 176-197.

¹⁹² გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, ნაკვეთი პირველი, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ, თბილისი 1999 წელი, გვ. 345.

ითა ღმრთისათა“-ს. ვალერი სილოგავა სავსებით სამართლი-ანად მიიჩნევს, რომ „ეკლესიის კედლებზე ანბანის ამოკანვრის მიჩნევა დამწერლობის ნიმუშის წარმოსადგენად, ხელის სავარ-ჯიშოდ, ან სასწავლო მიზნით, ვფიქრობთ, მოვლენის ცალმხრივ და მცდარ ინტერპრეტაციად უნდა ჩაითვალოს“.¹⁹³

ფოთოლეთის ეკლესიის კანკელის ნირთხლზე შესრულებუ-ლია ქართული ანბანის რამდენიმე გრაფემა – **აბგდევ კლმ**, რომელიც ქართული ანბანის სამივე დამწერლობის სახეობით (ასომთავრული, ნუსური, მხედრული) არის ამოკანრული. წარ-წერაში ანბანის „**მ**“ გრაფემის შემდეგ ამოკანრულია ვერტი-კალური სამი ხაზი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ანბანის ტექსტი ნაკლული არ არის და ანბანის ასო-ნიშნები გრაფემა „**მ**“ შემდეგ აღარ გრძელდებოდა. აღნიშნული ანბანი ქვევით სწერია უც-ნობი პირის სავედრებელი ტექსტი: „ქ. ხატო ღთაებისამ შეი-წყალე“. ფოთოლეთის კანკელის ქართული ანბანი კიდევ ერთხ-ელ დოკუმენტურად ადასტურებს ვალერი სილოგავას მიერ გა-მოთქმულ მოსაზრებას ეპიგრაფიკაში ქართული ანბანების დან-იშნულების შესახებ. ჩვენი აზრით, ქართული ანბანი მიემართება ანონიმი პირის სავედრებელ ტექსტს ღმრთაების ხატისადმი და ლოცვა-კურთხევის მიზნით არის ამოკანრული. წარწერა პა-ლეოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით — XI საუკუნის წარწერათა ჯგუფს მიეკუთვნება.

ამგვარად, ფოთოლეთის ეკლესიის კანკელის ანბანის რა-მოდენიმე გრაფემა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დროს გამოთქმულ მო-საზრებას (ვალერი სილოგავა) ასეთი ტიპის ანბანების დან-იშნულების შესახებ და ამავდროულად, ამდიდრებს ეპიგრაფი-კაში ქართული ანბანების არსებულ ფონდს.

¹⁹³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II, (ეპიგრაფიკული ძეგლები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნო-ბარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, თბილისი 1988 წელი, გვ. 225.

სააღმშენებლო წარწერები

ბორჯომის ხეობაში შემორჩენილ სააღმშენებლო წარწერათა ქრონოლოგია XIV-XVII-XVIII საუკუნეებით განისაზღვრება.

ასეთი შინაარსის წარწერებიდან გამოვყოფთ 1333 წლის დაბის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერას, რომელიც თავისი დამწერლობის დახვენილი სტილითა და სინგური დაფერილობით (რომელიც დღესდღეობით მხოლოდ რამოდენიმე გრაფემას შემორჩა) არა მარტო ბორჯომის ხეობის, არამედ ქართული დამწერლობის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

დაბის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის შესანვლა 1847-1848 წლებიდან დაიწყო, როდესაც აკადემიკოსი მარი ბროსე კავკასიაში მოგზაურობდა და მას ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლაში დიდ დამხარებას დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი უწევდა. მარი ბროსემ დიმიტრის მიერ გადაგზავნილი წარწერის გადმონაწერის საფუძველზე ვერ შეძლო წარწერის ტექსტის დადგენა. თუმცა წარწერა ფრანგულ ენაზე თავისი რაპორტების VI ტომში გამოაქვეყნა. მარი ბროსემ ეს წარწერა მეორედ პოლკოვნიკი ივანე ბართოლომეის მიერ გადაგზავნილი გრაფიკული მონახაზის საფუძველზე გამოსცა. ისტორიკოსმა ალნიშნულ გამოცემაში წარწერის პირველი და მეორე სტრიქონების ბოლო უკანასკნელი სიტყვების წაკითხვები გაასწორა და ხაზს უსვამს, მეოთხე სტრიქონის („მათმან მოლარეთუხუცეს“-ის) კარგ წაკითხვას. თუმცა ალნიშნავს, რომ ივანე ბართოლომეის წარწერის ქორონიკონის აღმნიშვნელი გრაფემები (ქორონიკონი კა – 21 ანუ 1333 წ.) მხედველობიდან გამორჩენია, რაც დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის მიერ შესრულებულ გადმონაწერში ასახული იყო.

დიმიტრი ბაქრაძე მარი ბროსეს უსწორებს წარწერის იმ ნაწილს, სადაც მოხსენიებულია ტაძრის ქტიტორი და აღნიშნავს, რომ ტაძრის აღმშენებელი მოურავი უფრო უნდა იყოს, ვიდრე მოლარეთუხუცესი. რაც შეეხება წარწერის თარიღს, მეცნიერი მას თავისი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XII საუკუნის წარწერად მიიჩნევს და მასში მოხსენიებულ მეფეთმეფე გიორ-

გის არა გიორგი V ბრწყინვალესთან, არამედ ერთიან საქართველოს მეფე გიორგი III-სთან აიგივებს. უფრო მეტიც, წარწერის დასაწყისში მოცემული ინდიქტიონი ცხრამეტი (19) მიუმატა მეფე გიორგი III-ის ტახტზე აღსაყდრების თარიღს 1156 წელს და წარწერის ქრონილოგია 1175 წლით განსაზღვრა.

რენე შემერლინგმა დაბის ეკლესიის ტაძარი არქიტექტურული თვალსაზრისით შეისწავლა და დაასკვნა, რომ ეკლესია თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით XIV საუკუნის ძეგლებთან უფრო ახლოს დგას. წინამდებარე სამუშაოების ფარგლებში მან ტაძრის სააღმშენებლო წარწერის პალეოგრაფიული ასლიც გადაიღო, რომელიც დართული აქვს თავის სამეცნიერო ნაკვეთს.

რენე შემერლინგის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის შენიშვნებში სქოლიოში ამ წარწერის დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის მიერ წაკითხული ტექსტი და თარიღი გაიზიარა. შესაბამისად, წარწერის თარიღად დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილისა და მარი ბროსეს მსგავსად, 1333 წელი მიიჩნია.

თედო უორდანიას წარწერის ტექსტის წინა გამომცემელთა (დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი, მარი ბროსე) მიერ შემოთავაზებული წაკითხვა მოჰყავს და იზიარებს ასევე მათ მიერ შემოთავაზებულ თარიღს – 1333 წელს. მეცნიერი იქვე აზუსტებს, რომ მას ჰქონდა ხელთ წარწერის ზუსტი პალეოგრაფიული ასლი.

გიორგი ჩუბინაშვილმა წინამდებარე წარწერას საგანგებო სტატია მიუძღვა. მეცნიერი დეტალურად აღნერს წარწერის შესწავლის ისტორიას, წარწერის იმდროინდელ მდგომარეობას და წარწერის დაზიანების ხარისხს. მან ყურადღება გაამახვილა წარწერის ბოლოს დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის მიერ ამოკითხულ ქორონიკონის მართებულობაზე. მისი აზრით, ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებს და მიაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის მიერ შესრულებულ შავ ჩანაწერებს, რომელიც მას გადასცა დიმიტრი ბაქრაძის ქვრივმა და, შესაბამისად, ხელთ ჰქონია და სხვა

მასალებთან ერთად 1917 წელს ლენინგრადიდან თბილისში გამოგზავნისას დაიკარგა.

სულ ბოლოს, გიორგი ჩუბინაშვილი დასკვნის სახით დასძენს, რომ არსებული მასალა და წარწერის დასაწყისში გიორგი ბრწყინვალის მეცხრამეტე ინდიქტიონი ტაძრის აგების 1333 წელზე მიგვითოთებს. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ეს თარიღი მიღებულია წარწერის წინა გამომცემელთა მიერ, რომელთაც გიორგი ბრწყინვალის მეფობის დასაწყისად მიაჩნიათ 1314 წელი და არა 1318 წელი, როგორც ეს ვახუშტი ბატონიშვილს აქვს მოცემული.

მარი ბროსეს მიერ შემოთავაზებული წარწერის წაკითხვა გაზიარებულ იქნა ქართველ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, ვლადიმერ აბულაძე, დევი ბერძენიშვილი და სხვ.) მიერ.

თუმცა წარწერის ტექსტთან და მის თარიღთან დაკავშირებით ახალი შეხედულებები წარმოუდგინა სამეცნიერო საზოგადოებას ისტორიკოსმა ვაჟა კიკნაძემ.

იგი, წინამორბედ მეცნიერთა მსგავსად, წარწერაში მოხსენიებულ მეფეთმეფე გიორგის გიორგი ბრწყინვალედ მიიჩნევს, თუმცა მისი გამეფების მეცხრამეტე ინდიქტიონს ითვლის 1299 წლიდან, როდესაც მონღლოლებმა მეფე გიორგი თავისი მცირენლოვანი ძმისწულის - გიორგი VI მეურვედ დანიშნეს და, აქედან გამომდინარე, სააღმშენებლო წარწერისა, და შესაბამისად, ტაძრის აგების თარიღად 1318 წელს მიიჩნევს.

უფრო კონკრეტულად, მას მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში მოცემული გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღი – 1318 წელი. გარდა ამისა, დაბის ეკლესიის წარწერა, რომლის მიხედვითაც გიორგი ბრწყინვალის აღსაყდრების თარიღი 1314 წელზე მოდის. ამის შემდეგ მკვლევარი გვთავაზობს წარწერის შესწავლის ისტორიას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს წარწერის ბოლოს XIX საუკუნის 40-იან წლებში დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის მიერ ამოკითხული ქორონიკონის აღმნიშვნელი გრაფემების თავის დროზე არსებობას. ამის თქმის საფუძველს, ისტორიკოსა აძლევს ის გარემოებაც, რომ წარწერის ქორონიკონი XIX საუკუნის შუა წლებში უკვე დაზიანებული იყო და ივანე ბართოლომეის მიერ მარი ბროსესადმი გადაგზა-

ვნილ გადმონაწერში ქორონოკონი საერთოდ არ იყო მითითებული. გარდა ამისა, მეცნიერი აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ დიმიტრის მიერ წარნერის ბოლოს დასმული ქორონიკონის შემდეგ დასმული ორი გრაფემა „კა“ შედარებით მკრთალია, რის საფუძველზეც გამოთქვამს ვარაუდს დიმიტრის მიერ არასწორად ხომ არ იყო ამოკითხული ეს ორი გრაფემა ან თუ არსებობდა საერთოდ. ეს მაშინ, როდესაც ქორონიკონის ერთ-ერთი პირველი თვითმხილველის, დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის შავი ჩანაწერები დღეს დაკარგულია.

ამის საპირისპიროდ, ისტორიკოსს ვახუშტის ცნობის სანდობის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: 1) ისტორიკოსი აქცენტს აკეთებს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში მოტანილ ციტატაზე, საიდანაც ვიგებთ, რომ მემატიანეს გიორგი ბრწყინვალისა და მისი შვილიშვილის ბაგრატ V-ის ქორონიკონები ანუ წლები ძველ ქორონიკონებში უნახავს; 2) მას მოჰყავს უამთააღმნერლის ასწლოვან მატიანეში დაცული ცნობა ოლჯაითუ ყაენის (1304-1316) გარდაცვალებისა და აბუსაიდ ყაენის (1317-1335) ტახტზე ასვლის შემდეგ გიორგი V-ის ურდოში გამგზავრებისა და ამის შემდგომ ხანებში (ანუ 1316-1317 წლების შემდგომ) მისთვის საქართველოს სამეფოს დამტკიცების შესახებ; 3) ისტორიკოსს მოყვანილი აქვს ამ მოვლენის ვახუშტისეული ინტერპრეტაცია, რომელსაც პირდაპირ მითითებული აქვს თარიღი 1318 წელი; 4) მას მიაჩნია სანდო წყაროდ ვახუშტის მიერ საკუთარ თხზულებაში ნასხენები ერთ-ერთი გელათური ხელნაწერი, რომელსაც, როგორც სწავლული ბატონიშვილის მონათხრობიდან ირკვევა, თან ახლდა აშიებზე მინაწერები XII-XVII საუკუნეების ქართველ მეფეთა აღსაყდრებისა და გარდაცვალების შესახებ; 5) სულ ბოლოს, მას მიაჩნია, რომ ქართველი მეფეები თავის მეფობას ითვლიდნენ არა რეალური ძალაუფლების მოპოვების შემდგომ, არამედ ფორმალური მმართველობის წლებიდან. აღნიშნული მოსაზრების გამყარების მიზნით, ისტორიკოსს მოჰყავს გიორგი V ბრწყინვალის მიერ ჯავახიშვილ-თორელისადმი გაცემული სიგელი, რომლის თარიღად მიჩნეულია 1338 წელი და რადგან საბუთში ქორონიკონი მოცემული

არ არის და აღნიშნულია, რომ სიგელი გაცემულია გიორგის მეფობის 39 ინდიქტიონს. აღნიშნული წყალობის სიგელის დღემდე 1338 წლით თარიღდება, რომელიც მიღებულია გიორგი მეფის თავის ძმისნულის გიორგი VI-ის მეურვედ დანიშვნის წლიდან ანუ 1299 წლიდან. იგი ფიქრობს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ 1314 და 1318 წლიდან ათვლის შემთხვევაში სიგელი გაცემულა 1353 ან 1357 წლებში, როდესაც, მისივე აზრით, გიორგი V ბრწყინვალე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. იგი ვახუშტის ნაშრომზე დაყრდნობით გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად – 1346 წელს მიიჩნევს; ვ) სულ ბოლოს, დასკვნის სახით შენიშნავს, რომ გიორგი V ბრწყინვალე დაბის ეკლესიის წარწერაში თავის მეფობის მეცხრამეტე ინდიქტიონს ითვლის 1299 წლიდან და აქედან გამომდინარე, ვახუშტის მსგავსად 1318 წელს თვლის მისი რეალურად გამეფების წლად. მისი ვარაუდით, სწორედ ამ ფაქტის აღსაღნიშნავად შესაძლოა ააგო მან დაბის ეკლესია.¹⁹⁴

ქართულ ისტორიოგრაფიაში დაბის ეკლესია წმიდა გიორგის სახელობის ტაძრად იყო მიჩნეული. მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა სააღმშენებლო წარწერაში მოხსენიებულ ფრაზა „სიტყვისა ხორცი-შესხმისა მიზეზო“ -ზე და იგი სავსებით სამართლიანად ამ ფრაზაში ღმრთისმშობელს გულისხმობს. ამის საფუძველზე, ისტორიკოსმა ტაძრის მფარველ წმიდანად ღმრთისმშობელი მიიჩნია და დოკუმენტურად, კიდევ უფრო გაამყარა ბროსეს მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში გამოთქმული ფრთხილი ვარაუდი ამ საკითხთან დაკავშირებით.¹⁹⁵

ისტორიკოსის მეორე დებულების თანახმად, ვახუშტი გიორგი ბრწყინვალისა და მისი შვილიშვილის ბაგრატ V-ის მეფობის წლების წარმოდგენისას სარგებლობდა ძველი ქორონიკებიდან აღებული თარიღებით. როგორც ცნობილია, ვახუშტი საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის გამეფებას 1360 წლით ათარიღებს. ისტორიკოსმა თემო ჯოჯუამ ბაგრატ V-ის მამის და, შესაბამისად, გიორგი ბრწყინვალის ვაჟის – საქართვე-

¹⁹⁴ ვაჟა კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხი, სათვის, საისტორიო კრებული, ტ. VII, თბილისი 1977 წელი, გვ. 219-231.

¹⁹⁵ ვაჟა კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, თბილისი 1989 წელი, გვ. 139-140.

ლოს მეფის დავით IX-ის გარდაცვალებისა და ბაგრატ V-ის აღსაყდრების თარიღი, სწავლული ბატონიშვილისაგან განსხვავებით, 1365 წლის 31 დეკემბრის დავით IX მიერ გაცემული სიგელისა და ბიზანტიელი ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის თხზულებაში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაარკვია, რომ დავით IX 1366-1367 წლებში, უფრო კონკრეტულად, 1366 წლის 1 იანვრიდან 1367 წლის ივნისამდე პერიოდში გარდაიცვალა და, შესაბამისად, ამავე ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ავიდა საქართველოს ტახტზე მისი ვაჟი ბაგრატ V.¹⁹⁶

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დამომზებულ ძველ ქრონიკებში დაცული ზოგიერთი ინფორმაცია არ შეესაბამება რეალობას, რაც დადასტურდა ბაგრატ V-ის გამეფების წელთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ვახუშტის მიერ გამოყენებულ ქრონიკებში დაცული ცნობების მართებულობა და, მათ შორის, სწავლული ბატონიშვილის მიერ მოტანილი გიორგი V ბრწყინვალის გამეფებისა (1318 წ.) და გარდაცვალების თარიღის (1346 წ.) სიზუსტე.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური კითხვები: რამდენად მართებულია მისი მეფობის ათვლა თავისი ძმისწულის მეურვეობის ანუ 1299 წლიდან და, შესაბამისად, გასარკვევია მის მიერ გაცემული საბუთის თარიღის სიზუსტე (1338 წ.) გამრეკელ ჯავახიშვილისადმი? რამდენად შეესაბამება რეალობას ვახუშტის მიერ შემოთავაზებული გიორგის V ბრწყინვალის გარდაცვალების თარიღი - 1346 წელი?

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე შესაბამისი მასალის არქონის გამო ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებლად მიგვაჩნია და სამომავლო კვლევის საგანს წარმოადგენს.

2016 წელს იოსებ ალიმბარაშვილმა გამოსცა სამეცნიერო

¹⁹⁶ უფრო დაწვრილებით იხ. თემო ჯოჯუა, ეცერის მოძღვრის ანტონიოფრიანის მიერ 1380 წელს იერუსალიმში „სპარსთაგან დახსნილი“ XII-XIII სუუზნეების უღვალის საწელინდო სახარება (H-171) და მისი მინანერი საქართველოს მეფების ბაგრატ V-ისა (1366/1367-1387 წწ.) და გიორგი VII-ის (1387-1407 წწ.) მოხსენიებით, კრებულში: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII-XIII, თბილისი 2012/2013 წელი, გვ. 149-150.

ნაშრომი მიძღვნილი დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი, სადაც მისი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებია გაშუქებული და მათ შორის არის მოტანილი აქამდე დაკარგულად მიჩნეული მის მიერ შესრულებული დაბის ღმრთისმშობლის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის გადმონაწერი სანკტ-პეტერბურგის არქივიდან, სადაც წარწერის ბოლოს დასმულია ქორონიკონი კა, რისი რიცხვითი მნიშვნელობაც 21 უდრის ანუ 1333 წელს შეესაბამება დაბის ეკლესიის აგების თარიღი. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის 50-იან წლებში მარი ბროსეს მიერ დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის მიერ დამზადებული გადმონაწერის საფუძველზე შემოთავაზებული თარიღის – 1333 წლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას საფუძველი ეცლება. აქ გასათვალისწინებელია, წარწერის ამჟამინდელი მდგომარეობაც. წინამდებარე პროექტის ფარგლებში გასული წლის ზაფხულში არაერთგზის ვეწვიეთ წინამდებარე ტაძარს მის დასავლეთ შესასვლელის ტიმპანის ქვაზე წარმოდგენილი სააღმშენებლო წარწერის ბოლო ნაწილის დაზუსტების მიზნით, თუმცა წარწერის ბოლო ნაწილი საგანგებოდ არის ამოტეხილი და პრაქტიკულად შეუძლებელია მისი ამოკითხვა სპეციალური განათების ფონზეც კი.

დასკვნის სახით შევნიშნავთ, რომ ჩვენ წინამორბედ მეცნიერთა (მარი ბროსე, თედო უორდანია და სხვ.) მსგავსად დაბის ღმრთისმშობლის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის თარიღად 1333 წელს მივიჩნევთ.

ვაჟა კიკნაძე წარწერის მესამე სტრიქონზე სიტყვა ჟამსა წაკითხვას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მის მაგივრად კითხულობს „**მესტ**“ გრაფემებს, რაც ისტორიკოსის აზრით უნდა გაიხსნეს როგორც „პირმშოებასა“. აქედან გამომდინარე, იგი ფიქრობს, რომ დაბის ღმრთისმშობლის ეკლესია აშენდა მაშინ, როდესაც გიორგი V ბრწყინვალე საქართველოს ტახტზე არავინ არ ეცილებოდა ანუ მისი პირველობის დროს. ისტორიკოსს უადგილოდ მიაჩნია წარწერის დასაწყისა და მესამე სტრიქონში ერთი და იგივე აზრის ხელმეორედ გამეორება (გულისხმობს გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს ეკლესიის აშენებას – თ.

გ.). სულ ბოლოს, ვაჟა კიკნაძე შენიშნვას, რომ ეს ადგილი მარი ბროსეს მიერაც როგორც პირველშობილი ისე იქნა წაკითხული თავის დროზე, თუმცა მეცნიერმა სათანადო ვერ ახსნა თუ რატომ იყო გიორგი ბრზყინვალე პირველშობილი.¹⁹⁷

ჩვენ ამ შემთხვევაშიც ვერ დავეთანხმებით პატიცემულ მეცნიერს ამ სიტყვის წაკითხვის მართებულობაში. აქ, რომ ნამდვილად სიტყვა „პირმშობასა“ ენეროს უნდა იყოს დაქარაგმებული შემდეგი სახით: „სჯაშლი“, რაც როგორც ვხედავთ ასე, არ არის. აქ არის, მხოლოდ ოთხი გრაფემა „შლ“, რაც კონტექსტის მიხედვით აღდგენილია როგორც უამსა. თუმცა მეცნიერი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ აქ „შ“ გრაფემის ნაცვლად ამოღარულია ასო-ნიშანი „უ“. აქ შეიძლება დავუშვათ, რომ წარწერის ამომკვეთმა ამოღარა გეოგრაფიული პუნქტის სახელი, რომელმაც შესაძლოა ჩვენამდე ვერ მოაღწია. აქედან გამომდინარე, შეიძლება იყოს გამოწვეული ამ გრაფემათა „შლ-ს“-ს წაკითხვის უმართებულობა. თუმცა ეს ისეთივე ჰიპოთეზად გვეჩვენება, როგორიცაა ამ გრაფემათა წაკითხვა სიტყვა „პირმშობად“. საფიქრებელია, რომ წარწერის ამომკვეთ ოსტატს სიტყვა „უამსა“-ს ამოღარვისას მოუვიდა უნებლივ შეცდომა და გრაფემა „შ“ წაცვლად, ასო-ნიშანი „უ“ გამოაქანდაკა.

მეტად საინტერესო ეპიგრაფიკულ ძეგლს წარმოადგენს ლიკანის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესის სამრეკლოს ასომთავრული სააღმშენებლო წარწერა. აღნიშული წარწერით ჯერ კიდევ 2010-2011 წლებში დავინტერესდით და რამდენგზის ვენვიეთ ტაძარს მის სამრეკლოზე ამოღარული ასომთავრული წარწერის შესწავლის მიზნით.

პირველ რიგში წავიკითხეთ წარწერის ტექსტი, მოვამზადეთ წარწერის დეტალური არქეოგრაფიული აღწერილობა, ამოვიკითხეთ წარწერის ბოლო დაზიანებული ნაწილი და მოვამზადეთ წარწერის პალეოგრაფიული ასლი.

¹⁹⁷ ვაჟა კიკნაძე, საქართველოს ფეოდალური ხანის რამდენიმე სოციალური და ისტორიული ტერმინის შესახებ /“გაზრდილობა“, “პირმშობა“, “საშინელი/”, სამეცნიერო სესია მიღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის სსოვნი-სადმი, მოხსენებების მოკლე შინაარსები, თბილისი 2003 წელი, 27-30 მაისი, გვ. 46.

ლიკანის ტაძრის სამრეკლოს წარწერა ჩვენამდე ცნობილი იყო ქართული სამეცნიერო წრეებისათვის. წარწერის ტექსტი მრავალგზის არის გამოცემული ქართველ (ექვთიმე თაყაიშვილი, ნოდარ შოშიაშვილი, ვახტანგ ბერიძე, სერგი მაკალათია და სხვ.) თუ უცხოელ მეცნიერთა (მარი ბროსე) მიერ. წარწერის ტექსტის თანახმად, ლიკანის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამრეკლო ადგილობრივმა ფეოდალმა - ქიშვად ავალისშვილმა და მისმა თანამეცხედრემ „მეფეთმეფის“ ასულმა თამარმა ააშენა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი (ექვთიმე თაყაიშვილი) ამ წარწერას პალეოგრაფიული მონაცემების თვალსაზრისით XIV საუკუნით, მეორე ნაწილი (ნოდარ შოშიაშვილი) XIV-XVI საუკუნეებით, მესამე ნაწილი (სერგი მაკალათია) XV-XVI საუკუნეებით, ხოლო მეოთხე ნაწილი (ვახტანგ ბერიძე) კი XVI საუკუნით ათარიღებდა და ლიკანის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებულ ქიშვად ავალიშვილსა და მის თანამეცხედრეს, მეფეთმეფის ასულ თამარს ჯავახეთში მდებარე კოთელის ეკლესიის სამხრეთ კედელზე ამოღარულ მხედრულ წარწერაში მოხსენიებულ ქიშვადსა და მის მეუღლეს მეფის ასულ თამართან აიგივებდა.

მართალია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენამდე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა წარწერის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით, თუმცა წარწერაში მოხსენიებულ მეფეთმეფის ასულ თამარის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით მხოლოდ მარი ბროსეს მიერ გამოთქმული ფრთხილი ვარაუდი არსებობდა. მისი მიხედვით, შესაძლოა წარწერაში მოხსენიებული მეფეთმეფის ასული თამარი იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-1565) ასული თამარი ყოფილიყო.

ქართული წყაროს (პარიზის ქრონიკა) ცნობით, 1526 წლის 25 მარტს ბაგრატ მეფემ თავისი ასული თამარი ცოლად ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556) შერთო. ამ ცნობის თანახმად, გაბათილებულ იქნა მარი ბროსეს მიერ გამოთქმული მოსაზრება წარწერაში მოხსენიებული „მეფეთ მეფის“ ასულ თამარის იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ასულ თამართან იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ქართული (ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშვილი, ვახ-

უშტი ბატონიშვილი) და უცხოური (პასან რუნლუ, ისქანდერ მუნში) ნარატიული წყაროების, ასევე კოთელის ეკლესიის მხედრული ნარწერის ურთიერთშეჯერების საფუძველზე მივედით მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ ლიკანის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოს ნარწერაში მოხსენიებული მეფის ასული თამარი გახლდათ ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის ასული.

როგორც მოგეხსენებათ, გვიან შეა საუკუნეებში ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების მმართველები თავიანთი პოზიციების განმტკიცების მიზნით დაწინაურებულ ფეოდალურ სახლებს უნათესავდებოდნენ, რაც სამეფო ხელისუფლების შესუსტებაზე ნათლად მეტყველებს. (მაგალითისათვის ნარმოვადგენთ 1488 წლის ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის (1478-1505) შეუვალობის განახლების სიგელს სვეტიცხოვლისადმი, რომლის თანახმადაც თავის ძეს დავითს (შემდგომში ქართლის მეფე დავით X-ს (1505-1525) – თ.გ.) ბარათაშვილის ასული უხუედროდ (იგულისმება სოციალური სტატუსის შეუფერებლობა — თ.გ.) შეურთავს ცოლად;¹⁹⁸ 1559 წლის იოსაფათ გოგიბაშვილის შენირულების წიგნის მიხედვით, კახთა მეფე ლევან II-ს (1520-1574) თავის ასული ქეთევანი იოსაფათის ძმის ვახუშტისათვის მიუთხოვებია, რომელიც როგორც ისტორიულ საბუთში საგანგებოდაა აღნიშნული „დიდად უხვედრი და საკანონი იყო“ ანუ თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ შეუფერებელი).¹⁹⁹ სწორედ ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ლიკანისა და კოთელის ეპიგრაფიკული ძეგლები. ქართლის მეფეს ლუარსაბ I-ს სამცხე-ჯავახეთში ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად ესაჭიროებოდა ადგილობრივი ერთგული ფეოდალები. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ქართლის სამეფო კარის დანათესავ-

¹⁹⁸ ქართული ისტორიული საბუთები (XV საუკუნის მეორე ნახევარი), შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, თბილისი 2014 წელი, გვ. 280.

¹⁹⁹ ქართული ისტორიული საბუთები XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო), ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ, თბილისი 2016 წელი, გვ. 240-241.

ება ავალიშვილთა ფეოდალურ სახლთან, კერძოდ, ქართლის მეფის მხრიდან თავისი ასულის თამარის მითხოვება ქიშვად ავალიშვილზე.

რაც შეეხება აღნიშული წარწერების ქრონოლოგიას, ისინი კიდევ უფრო დავავინაროვეთ და მათი ქრონოლოგიური ჩარჩო XVI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისით განვსაზღვრეთ.²⁰⁰

სულ ბოლოს, განვიხილავთ ლიკანის ეკლესიის სამხრეთ ფასა-დზე პლატონ იოსელიანის მიერ XIX საუკუნის 40-იან წლებში ძველი ქართული დამწერლობით (სავარაუდოდ ასომთავრულით – თ.გ.) ამოკითხულ წარწერას, რომლის მიხედვითაც ტაძარი გივი ავალიშვილსა და მეფის ასულ სოფიოს განუახლებია.

წარწერაში მოხსენიებულ ქტიტორს, გივი ავალიშვილს XVII საუკუნის II წახევრის ცნობილი ფეოდალის ლევან ავალიშვილის ერთ-ერთ ვაჟ – გივისთან ვაიგივებთ. ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით, ლევან ავალიშვილი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ფლობდა ისეთი მაღალ საპატიო სახელოს, როგორც გახლდათ მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობა. რაც შეეხება წარწერაში დასახელებული მეფის ასული სოფიო ქართლის მეფის ერეკლე I ნაზარალიხანის დღემდე უცნობი ქალიშვილი უნდა იყოს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, ლევან ავალიშვილის ერთგულება ქართლის მეფე ერეკლე I ნაზარალიხანისადმი. მას ლევან ავალიშვილი ორჯერ ხლებია რუსეთში, რის სანაცვლოდაც ერეკლე I-მა დიდი წყალობით დააჯილდოვა. ამის პარალელურად, იგი პირობის წიგნებს იღებს კეთილმოყვრობის შესახებ ისეთი ძლიერი ფეოდალებისაგან, როგორებიც იყვნენ მაშინდელ ქართლის სამეფოში — გივი ამილახორი, დავით ქსნის ერისთავი. უფრო მეტიც, ლევან ავალიშვილი პირობას თვით ქართლის მეფის გიორგი XI-სგანაც (1677-1688) იღებს.²⁰¹ ასევე

²⁰⁰ თამაზ გოგოლაძე, თამარ სრესელი, ლიკანის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოს სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული „მეფეთა მეფის ასულის თამარის“ იდენტიფიკაციისათვის, ქართველოლოგია, ტ. I, თბილისი 2011 წელი, გვ. 80-93.

²⁰¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი 1991 წელი, გვ. 76-77.

მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს სამეფო-სამთავროების მმართველები თავიანთ ასულებს უბრალო ფეოდალებზე ათხოვებდნენ თავიანთი ძალაუფლების გასამყარებლად. აქ გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც: მაშინ როდესაც ქართლის სამეფოში ე.წ. „ორიანობის“ პერიოდია ანუ მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა ქართლის სამეფო ტახტისათვის გიორგი XI-სა და ერეკლე I-ს შორის გიორგი XI-ის ძმას ლევან ბატონიშვილს ცოლად ჰყავდა გიორგი ავალიშვილის ასული თინათინი.²⁰² სწორედ ამის კონტრაქციას უნდა წარმოადგენდეს, ერეკლე I ნაზარალიხანის მიერ თავისი ასულის სოფიოს მითხოვება ამავე ფეოდალური სახლის თავისი მომხრე ფეოდალის ვაჟისადმი. თუ ჩვენი ეს მსჯელობა სწორია და ეს ლოგიკურად გვეჩვენება, მაშინ გამოდის, რომ ერეკლე I ნაზარალიხანს ჰყოლების – დემეტრეს, დავითის, კონსტანტინეს, ისლამირზა//ისლამის, ვახტანგის, გიორგის, გორგასლან//გურგასლანის, თეიმურაზის, ელენეს, მარიამ//მაკრინეს, ქეთევანის²⁰³ გარდა კიდევ ერთი ასული – სახელად სოფიო, რომელიც ავალიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლის – ლევან ავალიშვილის ვაჟ, გივი ავალიშვილზე იყო გათხოვილი. ასევე დგინდება, რომ გივი ავალიშვილსა და მის თანამეცხდრეს მეფის ასულ სოფიოს ლიკანის ეკლესია XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის I ნახევარში განუახლებიათ.

საფლავის ქვის ეპიტაფიები

წინამდებარე კორპუსში მოცემულია მხოლოდ სამი საფლავის ქვის ეპიტაფია. აქედან ერთი უთარიღოა, ხოლო დანარჩენორ საფლავის ქვის წარწერას თარიღი უზის. პირველ მემორიალური წარწერა ამოღარულია ახალდაბის ეკლესიის მოდელ-

²⁰² სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ტფილისი 1903 წელი, გვ. 6.

²⁰³ მიხეილ ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII-XVIII სს.), 2 კახეთის ბაგრატიონები, მრავალთავი, ტ. VI, თბილისი 1978 წელი, გვ. 230-231.

ზე ასომთავრული დამწერლობით ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის, მისი თანამეცხედრის დიოფალთ დიოფალ ვანენისა და მისი ვაჟის მოხსენიებით, რომელიც თავისი პალეოგრაფიული ნიშნებისა და მასში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავის გამრეკელის საფუძველზე ფართო ქრონოლოგიური მონაკვეთით - XII-XIII საუკუნეებით თარიღდება.

დღეისათვის ახალდაბის ეკლესის მოდელი და მის კედლებზე ამოღარული სინგურით დაფერილი ასომთავრული წარწერა აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ლაპიდარიუმში ინახება და მუზეუმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ექსპონატს წარმოადგენს. წარწერის ტექსტი ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის ცოლის დიოფალთ დიოფალ ვანენის მემორიალურ ძეგლს წარმოადგენს, სადაც ვანენისა და მისი ვაჟის სულის მეოხებაზეა საუბარი.

ახალდაბის ეკლესის მოდელი და მასზე ამოღარული ასომთავრული წარწერა ისტორიკოსმა ვალერი სილოგავამ შეისწავლა, რომელმაც თავისი კვლევის შედეგები მოხსენების თეზისებისა²⁰⁴ და სამეცნიერო ნაშრომის სახით გააცნო სამეცნიერო საზოგადოებას.²⁰⁵

ვალერი სილოგავას მიხედვით, წარწერის ტექსტი ამოკვეთილია ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის ცოლყოფილის ვანენის სახელზე. მკვლევარი საგანგებოდ ეხება დიოფალთ დიოფალ ვანენის მოხსენიების ფორმას. ეს ტერმინი მას ცოტა უცნაურად ეჩვენება და, მისივე თქმით, „ძველ წერილობით ძეგლებში, თითქოს არ დასტურდება. მართალია, „ცოლყოფილი“ არ დასტურდება, მაგრამ ცოლისაგან ნაწარმოები სხვა ტერმინი ცნობილია ქართულ წერილობით ძეგლებში“. ამის მაგალითად მოჰყავს 1187 წლის თამარ

²⁰⁴ ვალერი სილოგავა, თორელთა ფეოდალური სახლის ერთი მემორიალური ძეგლი (ახალდაბის წარწერა), თუ ახალციხის ფილიალის I სამეცნიერო სესია, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ახალციხე 1993 წელი, გვ. 52.

²⁰⁵ ვალერი სილოგავა, ეკლესის მოდელი ახალდაბიდან და მის კედლებზე ამოკვეთილი წარწერა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, შრომების კრებული, ტ. II, ახალციხე 2000 წელი, გვ. 67-81.

მეფის სიგელი გელათის მონასტრისადმი, რომელშიც ტერმინი „ცოლეული“ ორგზის იხსენიება. აღნიშვლი მაგალითის მოყვანის შემდეგ შეჯამების სახით ამბობს, რომ „ამრიგად, ახალდაბის წარწერაში „ცოლ[ყოფ]ილის“ აღდგენა სავსებით შესაძლებელი ჩანს და ვანენიც გამრეკელისათვის ასეთი ყოფილა“.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში (2017 წლის 4 აპრილს) ვენვიეთ სიმონ ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ლაპიდარიუმს ახალდაბის ეკლესიის მოდელზე ამოკვეთილი წარწერის შესწავლის მიზნით. თავდაპირველად წავიკითხეთ წარწერის ტექსტი, განათების საშუალებით დავაზუსტეთ მისი ბოლო წაწილი. მართალია, წარწერის ჩვენეული წაკითხვა ძირეულად არ ცვლის წარწერის შინაარსს, თუმცა გარკვეული კორექტივი შეაქვს მის ბოლო წაწილი. სახელდობრ, როგორც ვნახეთ, ვალერი სილოგავას მიხედვით წარწერის სრულდება შემდეგი სახით, რომ ერითავთ-ერისთავ გამრეკელის ცოლყოფილ ვანენისათვის უნდა ელოცათ - „ე(რისთავთა) ე(რისთავი)სა გ(ა)მრ(ე)კ(ე)ლისა ცოლ/[ყოფ]ილისათ(უი)ს, ლ(ო) ც(ვ)ა ყ(ა)ვთ“. ჩვენეული წაკითხვა აჩვენებს, რომ გამრეკელ ერისთავის გარდაცვლილი თანამეცხედრის დიოფალთ დიოფალ ვანენისათვის ეკლესიაში წირვა უნდა ჩაეტარებინათ „ე(რისთავთა) ე(რისთავი)სა გ(ა)მრ(ე)კ(ე)ლისა ცოლ/[ისათუის] ეკლ(ე)სი(ა) სა ნი[რვიდეთ]“. ამ წაკითხვით საბოლოოდ მოიხსნა ის ბუნდოვანება წარწერის ბოლო წაწილში როგორიც იყო დიოფალთ დიოფალ ვანენის ცოლყოფილობის საკითხი, რაც ცოტა უცნაურად მოეჩვენა კიდეც ჩვენს წინამორბედ მეცნიერს.

მან წარწერის პალეოგრაფიული მონაცემებისა და წარწერის დასაწყისის ანუ საღმრთიმეტყველო წაწილის (ძლისპირის წაწყვეტის) ტექსტობრივი თვალსაზრისით XII საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტის - იოვანე შავთელის თხზულების ტექსტთან სიახლოვის საფუძველზე, წარწერა XII საუკუნის 80-90-იანი წლებით დაათარიღა. უფრო მეტიც, მეცნიერმა გაითვალისწინა რა ამ პერიოდის წარატიული წერილობითი წყაროები და ახალდაბის წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი გამრეკელი თამარ მეფის დროის ცნობილ ისტორიულ პირთან - ამირ-

სპასალარ გამრეკელთან გააგივა. როგორც ცნობილია, თამარის დროის მოღვაწე გამრეკელ თორელი ამირსპასალარის საპატიო სახელოს მხოლოდ ერთი წელი - 1191 წ. ფლობდა. გაითვალისწინა რა წარწერაში გამრეკელის ამირსპასალარის სახელოს გარეშე მოხსენიების ფაქტი, წარწერის ქრონოლოგია კიდევ უფრო დაავიწროვა. მისი აზრით, წარწერა შესრულებულია გამრეკელ თორელის გაამირსპასალარებამდე ანუ 1191 წლამდე.

ჩეენ წარწერის პალეოგრაფიული მონაცემების, XII-XIII საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მივედით შემდგომ დასკვნამდე, რომ ახალდაბის წარწერის ქრონოლოგია კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და, შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აյ ნახსენები „ერისთავთა-ერისთავი გამრეკელი“ შეიძლება თანაბარი წარმატებით გაიგივდეს როგორც XII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ამილახორ და ამირსპასალარ გამრეკელთან, ასევე XIII საუკუნის მეჭურჭლეთზუცეს გამრეკელ თორელთანაც. აქედან გამომდინარე, წარწერის ქრონოლოგიას, ვალერი სილოგავასაგან განსხვავებით, XII საუკუნის II ნახევრის ანუ 1191 წლამდე პერიოდის ნაცვლად, XII-XIII საუკუნეებით განვსაზღვრავთ.

როგორც ახალდაბის წარწერიდან ვიგებთ, მემორიალური ძეგლი შესრულებულია დიოფალთ დიოფალ ვანენის სახელზე. ვალერი სილოგავამ XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე ვანენი//ვანელის მატარებელი პირების ჩამოთვლისას ყურადღება გაამახვილა ტბელ აბუსერიძის თხზულებაში „ბოლოკ-ბასილის მშენებლობისათვის“ ივანე აბუსერიძის ასულის ვანენის დიოფალთ დიოფლად მოხსენიების ფაქტსა და ამასთან ერთად თხზულებაში დიოფალთ დიოფალი ვანენის მიერ იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესიის აგების ამბავზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მან ამირსპასალარ გამრეკელ თორელის ცოლყოფილად ივანე ერისთავთა ერისთავის ასული და ტბელ აბუსერიძის და - დიოფალთა დიოფალი ვანენი მიიჩნია.

ქრისტინე შარაშიძე ალის მონასტრის სვინაქსარის (S-1245) ანდერძ-მინანწერებში, H-1673 ანდერძსა და ტბელ აბუსერიძის თხზულებაში ნახსენებ დიოფალთ დიოფალ ვანენს ერთი და იგ-

ივე პიროვნებად მიიჩნევს და, შესაბამისად, მას XIII საუკუნის I ნახევრის ცნობილ სამხედრო პირის – ბოცო ჯაყელის მეუღლედ აცხადებს, რომელთაც ჰყოლიათ ერთი ვაჟი სახელად – შალვა. ტბელ აბუსერიძის და - დიოფალ-დიოფალი ვანენი თავისი მეუღლის, ბოცო ჯაყელის გარდაცვალების შემდეგ შემონაზვნებულა ნისიმეს სახელით. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ქრისტინე შარაშიძის მოსაზრებას ტბელს აბუსერიძის დის – დიოფალთ დიოფალ ვანენის ბოცო ჯაყელის მეუღლედ გამოცხადების შესახებ. ქრისტინე შარაშიძის არგუმენტებით გამყარებული შეხედულება ავტომატურად აბათილებს ვალერი სილოგავას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ახალდაბის წარწერაში მოხსენიებული დიოფალ დიოფალ ვანენის ტბელ აბუსერიძის და – დიოფალ დიოფალ ვანენთან გაიგივების შესახებ.²⁰⁶

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ წარწერა პალეოგრაფიული მონაცემებისა და ისტორიული რეალიების გათვალისწინებით XII-XIII საუკუნეებით დავათარიღეთ და აქ მოხსენიებული ერი-სთავთ-ერისთავი გამრეკელი ვაიგივებთ როგორც XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე – ამილახორ და ამისრპასალარ გამრეკელ თორელთან, ასევე XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწე მეჭურჭლეთუხუცესს გამრეკელთანაც, დიოფალ დიოფალ ვანენის საგვარეულო კუთვნილება საძიებელია XII საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის I ნახევრის საქართველოში არსებულ ფეოდალურ სახლებში. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთ ხელთ არსებული საისტორიო მასალა არ გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ თუ რომელი ფეოდალური სახლიდან იყო გამოსული ჩვენთვის საინტერესო წარწერაში მოხსენიებული – დიოფალ დიოფალი ვანენი. ასე, რომ მისი საგვარეულო კუთვნილება გასარკვევია, რასაც მომავალი კვლევის საქმედ მივიჩნევთ.

ვალერი სილოგავა ეკლესიის მოდელის დანიშნულების შესახებ გადაჭრით არაფერს ამბობს, თუმცა ახალდაბის მოდელის ქვემოდან მომრგვალებული ღრმულის არსებობის გათვალისწინებით

²⁰⁶ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, რედაქტორი დარეჯახ შეგრელაძე, თბილისი 1982 წელი, გვ. 20-21.

იხრება იმ აზრისაკენ, რომ აღნიშნული მოდელი ეკლესიის სახურავის კეხზე იქნებოდა თავის დროზე დადგმული. ამ შემთხვევაში, ჩვენ სრულად ვიზიარებთ მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ახალდაბის ეკლესიის მოდელი თავის დროზე ეკლესიის კეხზე იყო დადგმული. თუმცა მეცნიერს ნაშრომში არ დაუსვამს ეკლესიის საეკლესიო კუთვნილების საკითხი.

აქედან გამომდინარე, დავინტერესდით თუ რომელი ეკლესიის სახურავის კეხზე იყო დადგმული ეკლესიის მოდელი ახალდაბიდან. წინამდებარე პროექტის ფარგლებში გასული ნლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ორგზის მოვინახულეთ სოფელი ახალდაბა და იქ განთავსებული ხუროთმოძვრული ძეგლები. აქვე დავძენთ, რომ ჩვენ მხედველობაში მივიღეთ სიმონ ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმში შედგენილი პასპორტი (ნომერი 696), რომლის მიხედვითაც ეკლესიის მოდელი გიორგი გელაშვილის სახლის გვერდით აპანოს მშენებლობისას უპოვათ.

ახალდაბის წმიდა გიორგის ეკლესიის მდებარეობა და ეკლესიის მოდელის პასპორტის მონაცემების დამთხვევა აპანოს აშენების წელთან დაკავშირებით, ეჭვს არ იწვევს, რომ თამამად განვაცხადოთ XII-XIII საუკუნებში ახალდაბის ეკლესიის მოდელი წმიდა გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ კეხზე იყო ჩადგმული, რომელიც სახურავის ჩამოშლის შემდგომ ჩამოვარდა და აპანოს ადგილას ჩაგორდა. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში იგი მიწით დაიფარა და სწორედ 1968 წელს აპანოს მშენებლობისას წარმოებული მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა და აქედან კი, გიორგი გელაშვილის მეშვეობით გადაეცა თბილისი სახელმწიფო მუზეუმს.²⁰⁷

მეორე ეპიტაფია გახლავთ 1755 წელს ვინმე თევდორას სახელზე ამოკვეთილი. საფიქრებელია, 1755 წლის საფლავის ქვის წარწერაში მოხსენიებული თევდორა უნდა ყოფილიყო მაღალი საერო წრის წარმომადგენელი. სავარაუდოდ, ბორ-

²⁰⁷ Tamaz Gogoladze, An inscription in Asomtavruli Script on the Akhaldaba Church, 12th-13th cc., Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 12, no. 2, 2018 Year, pg. 197-202.

ჯომის ხეობის მეპატრონების - ავალიშვილთა ფეოდალური სახლის აზნაური. თუმცა შესაბამისი მასალების არქონის გამო კვლევის ამ ეტაპზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

სულ ბოლოს, საინტერესოა 1851 წლის 1 მაისის ქაიხოსრო ავალისშვილის ეპიტაფია. წარწერის ტექსტის თანახმად, ადგილობრივი თავადი გარდაცვლილა 1851 წლის 1 მაისს, 44 წლის ასაკში ხის დაცემის შედეგად თავის კუთვნილ მამულ – საკოჭავში. იგი თხოვს თავის მეუღლე ნინოს, თავის სამ ძესა და სამ ასულს იზრუნონ თავის სულისათვის და დაკრძალონ მის მიერ განახლებულ ყვიბისის წმიდა გიორგის ეკლესიაში. როგორც ვხედავთ, ქაიხოსროს ეს სურვილი მის ოჯახმა შეუსრულა და დღემდე მისი საფლავის ქვის წარწერა ყვიბისის წმიდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზეა განთავსებული. ეპიტაფიის ტექსტი მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდის როგორც ქაიხოსრო ავალიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ, ასევე ყვიბისის წმიდა გიორგის ტაძრის შესახებაც. წარწერის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვითაროთ ქაიხორო ავალისშვილის დაბადების თარიღი. თუ 1851 წელს გამოვაკლებთ 44 წელს, მაშინ გამოვა, რომ ქაიხოსრო ავალიშვილი დაბადებულა 1807 წელს. წარწერის ტექსტი გვაუწყებს მისი მამისა – ავალისა და მეუღლის – ნინოს სახელებს. თუ ამოვალთ წარწერის ტექსტიდან, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქაიხოროს მამა ავალ ავალიშვილი გახლდათ XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის I ნახევრის მოღვაწე. სამწუხაოდ, წარწერა არანაირ ინფორმაციას არ შეიცავს მისი მეუღლის ნინოს ფეოდალური სახლის წარმომავლობისა და მისი შვილების სახელების შესახებ.

ქაიხორო ავალისშვილის შვილების სახელები მოხსენიებულია ქართლ-კახეთის თავადთა XIX საუკუნის 40-აინი წლების ნუსხაში. ნუსხის თანახმად, ქაიხოსრო ავალის ძე ავალიშვილ-სა და მის მეუღლეს ნინოს XIX საუკუნის 40-იანი წლებისათვის ჰყავდათ ორი ვაჟი: გიორგი, ბარძიმი და ორი ასული: ანასტასია და სოფიო.²⁰⁸ თუ წარწერის ტექსტს დავუბრუნდებით მათ 1851

²⁰⁸ ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი 2005 წელი, გვ. 56; 245.

წლის 1 მაისისათვის ჰყავთ სამი ძე და სამი ასული. სრულიად ნათელია, რომ ერთი ძე და ერთი ასული მათ ამ ნუსხის დადგენის შემდეგ შეეძინათ ანუ XIX საუკუნის 40-იან წლებიდან 1851 წლის 1 მაისამდე პერიოდში.

როგორც ცნობილია, 1832 წლიდან რომანოვებმა გააჩაღეს აქტიური ბრძოლა ავალიშვილების წინააღმდეგ ბორჯომის ხეობის ხელში ჩაგდების მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა კავკასიის სამედიცინო ნაწილის უფროსი და კავკასიის მეფისნაცვლის - მიხეილ ვორონცოვის (1782-1856) პირადი ექიმი ანდრეევსკი, რომელმაც რომანოვებსა და ადგილობრივ ფეოდალებს – ავალიშვილებს შორის არსებული დავის მოგვარება თავის თავზე აიღო ბორჯომის ხეობის გარშემო. მან ავალიშვილებისაგან აღნიშნული დავის მოგვარების სანაცვლოდ მათი მამულების ნახევარი მოითხოვა, რაზეც ავალიშვილებისაგან ცივი უარი მიიღო. ანდრეევსკის ეს მოქმედებები ვორონცოვისათვის გახდა ცნობილი. მან შეისწავლა საქმე და კომისიას დაავალა, რომ ავალიშვილებისათვის ერჩიათ მამული დაეთმოთ ხაზინისათვის და სამაგიეროდ სამუდამოდ დაენიშნათ პენსია ყოველწლიურად გაცემის წესით. 1851 წლის 22 ივნისს ავალიშვილებმა თხოვნის წერილით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს, რომელთა შორის იხსენიებიან ქაიხოსრო ავალოვის (იგივე ავალისშვილის – თ.გ.) მცირენლოვანი ობოლი ვაჟები – გიორგი, ბარძიმი და ავალი. როგორც ვხედავთ, ქაიხოსროს უმცროსს ვაჟს სახელად პაპის მსგავსად ავალი რქმევია. სამნუხაროდ, ამ ჩამონათვალში დასახელებული არ არის ქაიხოსრო ავალისშვილის რიგით მესამე ასულის სახელი.²⁰⁹

გარდა ამისა, საფლავის ქვის წარწერის ტექსტი გვაუწყებს, რომ ქაიხოსრო ავალისშვილს ყვიბისის წმიდა გიორგის ეკლესია განუახლებია. ჩვენამდე ისტორიკოსი ვახტანგ გოლაძე ქაიხოსრო ავალისშვილის საფლავის ქვის წარწერის საფუძველზე

²⁰⁹ ვლადიმერ აბულაძე, საავალიშვილოს გადაცემა სახაზინო მამულად (ბორჯომის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, თბილისი 1965 წელი, გვ. 324-328.

ტაძრის განახლებას 1851 წლამდე პერიოდით განსაზღვრავდა.²¹⁰ ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო დავავიწროვოთ ტაძრის შეკეთება-რესტავრაციის ქრონოლოგია. ვითვალისწინებთ რა ქაიხოს-როს დაბადების წელს – 1807 წელს, ამავდროულად მხედველობაში ვიღებთ იმ ფაქტსაც, რომ იგი მის განახლებას მის სრულ ასაკამდე მიღწევის შემდეგ შეძლებდა ანუ 16-18 წლიდან, ყვიბისის წმიდა გიორგის ეკლესიის განახლებას XIX საუკუნის 20-40-იანი წლებით ვათარიდებთ.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ სამი საფლავის ქვა შემოგვრჩა ბორჯომის ხეობიდან (ისტორიული თორიდან), მაშინ როცა ეს მხარე საქართველოს ერთიანობის და შემდგომ პერიოდებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. სწორეს ისტორიულ თორზე გადადიოდა უმოკლესი გზები თრიალეთიდან ჯავახეთზე, თრიალეთ-ჯავახეთიდან შიდა ქართლზე, თორიდან დასავლეთ საქართველოზე და სხვ. ერთიანი საქართველოს დროს XII-XIII საუკუნეებში ეს მხარე თორელთა ფეოდალური სახლის სამფლობელოს წარმოადგენდა. ცოტა მოგვიანებით, XV-XVI საუკუნეებში აღნიშნული ფეოდალური საგვარეულო ავალიშვილთა ფეოდალურმა ოჯახმა ჩაანაცვლა.

მიუხედავად საფლავის ქვების სიმწირისა, გადარჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თუ რაოდენ დიდი გავლენა პქონდათ მათ აღნიშნულ ხეობაზე. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში აღნიშნული ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლები არსებული ძნელბედობებისა და შემოსევების შედეგად განადგურდა. განსაკუთრებით აღსაღნიშნავია ამ მხრივ შესავალ ნაწილში დასახელებული ერთი წერილი ახალციხელი ფოსტალიონის - ვასილ ტაგანაშვილისა ექვთიმე თაყაიშვილისადმი, რომელიც დღესაც კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მის პირად არქივში ინახება (Nº548), საიდანაც ვიგებთ თუ როგორ ნადგურდებოდა XIX საუკუნეში ბორჯომში რომანოვების მმართველობის დროს

²¹⁰ ვახტანგ გოილაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და ზეპირი გადმოცემა მისი ტყის შესახებ, ბორჯომი, 1977 წლის 21 ივნისი; ვახტანგ გოილაძე, ჩვენი მხარისა და სოფელ ყვიბისის წარსულიდან, ბორჯომი, 1988 წლის 13 სექტემბერი, გვ. 4.

ამ ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლები (სადგერისა და ჩითახევის ეკლესიის წარწერები).²¹¹

ქვაბისხევის მონასტრის ფრესკული წარწერების შესწავლის ისტორია

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქვაბისხევის ტაძრის ფრესკული წარწერები ქართული კულტურის ფასდაუდებელ განძად არის შეფასებული.

მართლაც, მეტად საინტერესო და რეზონანსული გამოხმაურება ჰპოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში ქვაბისხევის სამხრეთ ნავში შოთა და იას ფრესკულმა გამოსახულებებმა და წარწერებმა. დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერთა ერთი ნაწილი ჭაბუკის ფრესკულ გამოსახულებას წარწერით შოთა - XII საუკუნის ცნობილ ქართველ პოეტ შოთა რუსთაველთან აიგივებს.

პირველად, 1947 წლის 20 აგვისტოს შოთა და იას ფრესკული გამოსახულებები და მასზედ მოთავსებული წარწერები აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა მოინახულა. მეცნიერმა წარწერები თავისი პალეოგრაფიული მონაცემების თვალსაზრისით XII-XIII საუკუნეებით დაათარიღა და გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი აქ მოხსენიებული შოთას გაიგივებისა XII საუკუნის ქართველ პოეტ - შოთა რუსთაველთან.

იმავე 1947 წლის აგვისტოში ქვაბისხევის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიას აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი ესტუმრა. ხელოვნებათმცოდნე დეტალურად აღწერს ტაძრის ხუროთმოძღვრულ მონაცემებს და ბოლოს ეხება სამხრეთ ნავში შესრულებულ კედლის მხატვრობას, რომელსაც მეცნიერი XII-XIII საუკუნეებით განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ იგი შოთა და იას წარწერასაც ამავე XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს.²¹²

²¹¹ თამაზ გოგოლაძე, ერთი საინტერესო ცნობა ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივიდან სადგერისა და ჩითახევის ეკლესია-მონასტრების შესახებ, წიგნში: თამაზ გოგოლაძე, ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი), თბილისი 2014 წელი, 185-192.

²¹² გიორგი ჩუბინაშვილი, ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, საქა-
149

1960 წელს ალექსანდრე მიქავაშ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ბორჯომის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები“, სადაც ზოგადად მიმოიხილავს ხეობაში მდებარე ხუროთმოძვრულ ძეგლებს და მათ შორის ქვაბისხევის ეკლესიას. იგი, ნიკო ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, სამხრეთ ნავში არსებულ კედლის მხატვრობის წარწერას შემდეგი სახით კითხულობს: „შოთა ია-მრ“ და გამოთქვამს ვარაუდს, რომ აქ მოხსენიებული პირები ტაძრის ქტიოტორები უნდა იყვნენ.²¹³

ამის შემდგომ წინამდებარე წარწერებით სარგის ცაიშვილი დაინტერესდა და 1965 წელს მან აკადემიკოს ირაკლი აბაშიძესთან ერთად ქვაბისხევის მონასტერიდა მის სამხრეთ ნავში შესრულებული ფრესკული წარწერები მოინახულა. ავტორს მოცემული აქვს წარწერების შესწავლის ისტორია, წარწერების მისეული წაკითხვა. იგი, ნიკო ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, სახელი იას მარცხნივ ხედავს ასომთავრულ „ძ“-ს და არა „რ“-ს. ამის შემდგომ მეცნიერი სამეცნიერო საზოგადოებას სთავაზობს თავის მოსაზრებას აქ მოხსენიებული შოთას გაიგივებისა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახულ მეჭურჭლეულუცესს შოთა რუსთაველთან. მისი აზრით, სწორედ ამ მხარის ფეოდალების (სამძივარ-თორელების, ჯაყელების — ს.ც.) ერთ-ერთ პრეროგატივას მეჭურჭლეულუცესობის საპატიო სახელოს ფლობა წარმოადგენდა. თუმცა აქვე შენიშნავს, რომ კვლევის ამ ეტაპზე მის მიერ შემოთავაზებული შეხედულებები პოეზიის სფეროს ნაწილია. სარგის ცაიშვილი ქვაბისხევის ფრესკაში მოხსენიებული შოთას საფუძველზე ფიქრობს, რომ უნდა გადაიხედოს იმ რუსთველოლოგების შეხედულება, რომლებიც ამტკიცებენ სახელი შოთას გავრცელებას ჰერეთის რუსთავში. თვალსაჩინოებისათვის ქვაბისხევის ფრესკული წარწერის გარდა მოჰყავს 1189 წლის ჭიათურის დაწერილსა და გოხნარის ბარელიეფის წარწერაში მოხსენიებული სახელი შოთა.²¹⁴

რთველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამშე, ტ. 34 ა-ნ, 1948 წელი, გვ. 391-398.

²¹³ ალექსანდრე მიქავა, ბორჯომის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები, გაზეთი კომუნიზმის დროშით, 1960 წლის 7 სექტემბერი.

²¹⁴ სარგის ცაიშვილი, შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში, 150

1960-იანი წლების შუა ხანებში ისტორიკოსმა ნოდარ შოშიაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სახელის (შოთა), მამული-დან მიღებული გვარის (რუსთველის), ცხოვრების დროისა (მეცენარის ზეობა) და თანამდებობის მიხედვით (მეჭურჭლეთუხუცესის სახელი) თორელთა ფეოდალურ სახლთან დააკავშირა.²¹⁵

